

ნინო ბოკუჩავა  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო  
nino\_bokuchava@iliauni.edu.ge  
DOI: 10.32859/kadmos/16/28-84

## **საბჭოთა კინოფილმიდან პოსტსაბჭოთა რომანამდე: ზაირა არსენიშვილის „ვა, სოფელო: კახური ქრონიკები“ როგორც იდეოლოგიური ემანსიპაციის შემთხვევა\***

საკვანძო სიტყვები: ინტერმედიური ტრანსფორმაცია, რომანიზაცია, ადაპტაცია, საბჭოთა კინემატოგრაფი, პოსტსაბჭოთა ქართული ლიტერატურა

### **კინოფილმიდან რომანამდე**

ქართველი კინორეჟისორის, ლანა ლოლობერიძის, და ქართველი მწერლის, კინოდრამატურგისა და მუსიკოსის, ზაირა არსენიშვილის, თანამშრომლობა არა ერთ მხატვრულ ფილმს მოიცავს: 1972<sup>1</sup> წლიდან ზაირა არსენიშვილის გარდაცვალებამდე, 2015 წლამდე, ლოლობერიძის თითოეული ფილმის სცენარის თანაავტორი ზაირა არსენიშვილია. მათი საერთო ნამუშევრის, 1983 წლის კინოსურათის – „დღეს დამეს უთენებია“ – მიხედვით ზაირა არსენიშვილის მიერ შექმნილი რომანი „ვა, სოფელო: კახური ქრონიკები“<sup>2</sup> განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს, რაკი ეს უკანასკნელი რევერსული ადაპტაციის შემთხვევას წარმოადგენს. მასში თავს იჩენს „რომანიზაცია“ (ინგლ. novelization), რაც განსაკუთრებული შემთხვევაა ქართული სახელოვნებო სივრცისთვის. ადაპტაციის კლასიკური სქემისაგან განსხვავებით – როდესაც ხდება რომანის კინოფილმად ადაპტაცია (Constantinescu 2015, 172; Corrigan 2017, 28), რომანიზაციის შემთხვევაში, კინოფილმზე

\* კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული ფონდის მხარდაჭერით: FR-22-793.

1 მათი პირველი ერთობლივი ნამუშევარია 1972 წლის ფილმი „როცა აყვავდა ნუში“.

2 შემდეგში გამოყენებული იქნება რომანის შემოკლებული სათაური „ვა, სოფელო“.

დაყრდნობით იქმნება მხატვრული ტექსტი, ე.ი. რეციპიენტის წინაშეა ფილმის „გარომანებული“ ვერსია (Van Parys 2011). ლანა ლოლობერიძის რეჟისორობით შექმნილი ფილმის პრემიერა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში შედგა, ზაირა არსენიშვილის რომანი კი სრული სახით პირველად 2002 წელს, დამოუკიდებელ საქართველოში გამოიცა.<sup>3</sup> წინამდებარე სტატია ამ შემთხვევის ინტერმედიურობის თეორიის გამოყენებით შესწავლის ცდაა<sup>4</sup>, სახელდობრ, ნაშრომში წარმოჩნდება, იდეოლოგიური წნეხის არსებობისა და არარსებობის პირობებში როგორი ტრანსფორმაცია განიცადა საბჭოთა სოციალურ-პოლიტიკური თემატიკის რეპრეზენტაციამ კინოფილმიდან რომანამდე.

ინტერმედიურობის თეორიის როგორც ინტერდისციპლინური დარგის (Petho 2010, 40) განსაკუთრებული თავისებურება ისაა, რომ იგი საშუალებას იძლევა, დადგინდეს **ამოსავალი მედიის** „რომელი შინაარსები იქნა შერჩეული, გამოტოვებული ან დამატებული“ (ცაგარელი 2017, 121) ან შეცვლილი და განვითარებული (Bruhn and Schirmacher 2022, 141-142) **სამიზნე მედიაში**. ირინა რაიევსკი (Irina Rajewsky) ვერნერ ვოლფთან (Werner Wolf) ერთად ინტერმედიურობის თეორიის ფუძემდებლად მიიჩნევა. იგი ავტორია ინტერმედიურობის სამწევრა ტიპოლოგიისა, რომელშიც თითოეული კატეგორია ინტერმედიურობის სპეციფიკურ მახასიათებელთანაა დაკავშირებული, ესენია: მედიათა ტრანსპოზიცია, მედიათა კომბინაცია და ინტერმედიური რეფერენსი. ამათგან წინამდებარე კვლევისთვის გამოსადეგია **მედიათა ტრანსპოზიციის** (ინგლ. medial transposition) კატეგორია, რომლის მაგალითებად სახელდება მხატვრული ტექსტების კინოფილმებად ადაპტაცია, კინოფილმების გარომანებული ვერსიები. ამ შემთხვევაში ინტერმედიურობის მახასიათებელი აშკარავდება ახალი მედია პროდუქტის წარმოქმნის პროცესში, სახელდობრ, ამოსავალი მედიაპროდუქტი სამიზნე მედიაპროდუქტად გარდაიქმნება. ეს ქვეკატეგორია წარმოებაზე ორიენტირებული, ინტერმედიურობის „გენეტიკური“ კონცეფციაა – თავდაპირველი ტექსტი (დედანი), ფილმი და ა.შ. არის ახლად შექმნილი მედიაპროდუქტის წყარო, რომლის ფორმირება წარიმართება სამიზნე მედიუმის სპეციფიკური მახასიათებლების, ე.ი. ინტერმედიური ტრანსფორმაციის შესაბამისად (Rajewsky 2005, 51).

ვერნერ ვოლფი თავის ტიპოლოგიაში უწინარესად ინტერმედიურობის ორ ძირითად ფორმას გამოყოფს: შიგა ინტერმედიურობა, რომელიც ერთი მედიაპროდუქტის ფარგლებში ხორციელდება (ინგლ. intracompositional intermediality) და გარე ინტერმედიურობა (ინგლ.

3 რომანის ამ მოცემის რედაქტორი და გამომცემელი გივი კიკალიშვილია.

4 სტატია ეყრდნობა ფილმის 104-წუთიან მონტაჟს.

extracompositional intermediality), რომელიც სცდება ერთი მედიაპროდუქტის ფარგლებს. ამ შემთხვევაში კვლევისთვის რელევანტური კატეგორია – **ინტერმედიური ტრანსპოზიცია** (ინგლ. intermedial transposition) – სწორედ გარე ინტერმედიურობის კონფიგურაციას განეკუთვნება. ეს უკანასკნელი აღნიშნავს შინაარსის გადაცემას (ერთგვარ ტრანსფერს) ერთი მედიიდან (ამოსავალი) მეორეში (სამიზნე). ამ პროცესში მედიებს შორის გენეტიკური ურთიერთკავშირი მყარდება, თუმცა საბოლოო მედიაპროდუქტი დამოუკიდებელ მხატვრულ ნამუშევარს წარმოადგენს, ე.ი. შეუძლებელია მასში ჩართულ მედიათა დამოწმება ერთმანეთისგან განცალკევებით, რაკი მათი კომბინაციის შედეგად წარმოიქმნება ჰომოგენური სემიოტიკური სისტემა. ამ შემთხვევის ფართოდ გავრცელებული მაგალითია მხატვრული ნაწარმოებების კინოადაპტაციები და პირიქით, კინოფილმების გარომანებული ვერსიები (Wolf 2002, 19-20; Wolf 2018, 244).

საკუთრივ ფილმების რომანებად ადაპტაციის შესახებ უნდა ითქვას, რომ ფილმების გარომანებული ვერსიები თითქმის იმდენივე ხანს ითვლის, რამდენსაც თავად კინო: ჯერ კიდევ XX საუკუნის 20-30 წლებში გამოიცემოდა ამერიკული მუნიციპალიტეტის კინოს გარომანებული მასალა ფოტოსურათებით ე.წ. Photoplay Editions, 1960-იანი წლებიდან კი ჰოლივუდში თხელყდიან რომანიზაციებზე მოთხოვნა გაიზარდა და მათი განსაკუთრებული კომერციული წარმატებაც სწორედ ამ დროიდან აითვლება (Larson 1995, 3-4). რომანიზაციის მთავარი თავისებურება ის არის, რომ იგი – რაკი ნარატივის ემყარება – რეციპიენტს აძლევს შესაძლებლობას, კონკრეტული ეპიზოდის გაცნობიერებისას მხოლოდ მსახიობის გამომეტყველებას ან მის ოსტატობას აღარ დაეყრდნოს, ე.ი. რომანიზაცია ავტორისათვის ერთგვარი ინსტრუმენტია, გაამჟღავნოს ის, რის საშუალებასაც კინოკამერა არ იძლევა – გმირის მოტივაციის ნარატიული დასაბუთება ან მისი ფიქრები დიალოგის წარმართვისას (Larson 1995, 15; Hutcheon and O’Flynn 2013, 118). თანამედროვე კინოინდუსტრიაში მიიჩნევა, რომ კინოფილმების რომანიზაციები მარკეტინგული სტრატეგიის ნაწილია, რომელთა მიზანი ყურადღების მიქცევა და შემოსავლის გაზრდაა. ამრიგად, რომანიზაციები კინოფილმის ისეთივე თანმდევი სარეალიზაციო პროდუქციად განიხილება. როგორცაა სათამაშო, კომიქსი, ელ. მატარებელზე ჩაწერილი ფილმი ან მისი მუსიკალური ნაწილი და სხვ. (Larson 1995, 12; Van Parys 2011).

როგორც უკვე აღინიშნა, რომანიზაციას, როგორც ნარატიული თხრობის ერთ-ერთ ფორმას, გლობალურ კონტექსტში ფინანსური მოგების მიღების მიზნით მიმართავენ, ქართულ რეალობაში კი წი-

ნამდებარე შემთხვევის გაანალიზებას – როგორც ფილმის წარმოების, ასევე რომანის გამოცემის შემთხვევაში – საბჭოთა ცენზურის მძიმე ზემოქმედებამდე მივყავართ, ცენზურისა, რომელიც „ცნობიერების მართვის ისტორიაა“ (გვახარია 2021, 274). ამ ორივე ხელოვანის შემოქმედების გააზრება წარმოუდგენელია მათი ბიოგრაფიებისგან დამოუკიდებლად. 1937 წლის საბჭოთა რეპრესიებმა მძიმე კვალი დაამჩნია მომავალი რეჟისორისა და მწერლის ცხოვრებას, საბჭოთა ცენზურა კი სწორედ მათი ამ ტრავმული გამოცდილების ასახვას ეწინააღმდეგებოდა კინემატოგრაფსა და ლიტერატურაში.

ლანა ლოლობერიძის მამა – ლევან ლოლობერიძე, ბოლშევიკი, პირველი თაობის რევოლუციონერი, რომელიც სხვადასხვა წელს მაღალ პარტიულ თანამდებობებს იკავებდა, 1937 წელს დახვრიტეს, მისი მეუღლე, პირველი ქართველი ქალი კინორეჟისორი – ნუცა ხუციშვილი-ლოლობერიძე<sup>5</sup> კი დააპატიმრეს, როგორც „ხალხის მტრის ოჯახის წევრი“ (ლოლობერიძე 2023, 15), და ათი წლით ქალთა საკონცენტრაციო ბანაკ „პოტამში“, ხოლო მოგვიანებით ვორკუტის ქალთა საკონცენტრაციო ბანაკ „ჩესეირიში“ (რუს. „член семьи изменника родины“) გადასახლეს (კონტრიძე 2022, 146). 2020 წლის ინტერვიუში ლოლობერიძე ამგვარად აჯამებს თავის შემოქმედებას:

არის ასეთი მოსაზრება, რომ ყველა ხელოვანი იბადება იმ ტრავმიდან, რომელიც ბავშვობაში გადაიტანა. მე შემძლია გითხრათ, რომ ეს სიმართლეა, ჩემი მაგალითი ამას ადასტურებს. ამას ეხლა ვხდები, მაშინ როცა ფილმებს ვაკეთებდი, რა თქმა უნდა, ამაზე არ ვფიქრობდი... რომ ეს იმდენად ძლიერი ტრავმა იყო ჩემს ცხოვრებაში... აი, შვიდი წლის ასაკში დედა დაგვარგე ათი წლით და მერე როცა შევხვდი, შევხვდი უცხო ადამიანს (....) ეს ძალიან მძიმე პროცესი იყო. (ლოლობერიძე 2020)

მისი ამ პირადი ტრავმის – გადასახლებიდან დაბრუნებული დედის როგორც უცხო კინემატოგრაფიულ დამუშავებას ვხდებით 1978 წლის ფილმში „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“<sup>6</sup> საბჭოთა ცენზურის მთავარი ორგანო, „სახკინო“, რომელიც იმპერიის დედაქალაქში, მოსკოვში ფუნქციონირებდა, რეჟისორისგან სწორედ ამ სცე-

5 მან გადასახლებამდე სამი კინოფილმის გადაღება მოასწრო.

6 საცნაურია, რომ ფილმში გადასახლებიდან დაბრუნებული დედის როლს 1937 წელს რეპრესირებული ქართველი ღირეუროს, ევგენი მიქელაძის ქვრივი, ქეთევან ორახელაშვილი ასრულებს. იმავე წელს დახვრიტეს ორახელაშვილის მშობლებიც, საბჭოთა პარტიული თანამდებობის პირები – მამია და მარიამ ორახელაშვილები – მას კი, როგორც ხალხის მტრის ოჯახის წევრს, გადასახლება მიესაჯა. გარკვეულ ხანს ლოლობერიძის დედა და ქეთევან ორახელაშვილი ერთსა და იმავე ბანაკში იმყოფებოდნენ – სწორედ ამ მიზნით სთხოვა რეჟისორმა ორახელაშვილს, განესახიერებინა დედის პერსონაჟი, მიუხედავად იმისა, რომ მას მანამდე არასოდეს ეთამაშა კინოში და არც სპეციალური განათლება ჰქონდა (ლოლობერიძე 2019, 345).

ნის ამოღებას მოითხოვდა,<sup>7</sup> რადგან სისტემისთვის დაუშვებელი იყო საბჭოთა რეპრესიების, ამ შემთხვევაში, გადასახლების საეკრანო მოტივად ქცევა (ლოლობერიძე 2019, 350-351). მოგვიანებით, დამოუკიდებელ საქართველოში, 1992 წლის ფილმში – „ვალსი პეჩორაზე“ რეჟისორი კვლავ დაუბრუნდება დედის გადასახლების ამბავს, მასში ლოლობერიძე დაეყრდნობა იმ მოთხრობებს, რომლებიც რეჟისორის დედამ გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ დაწერა. მათ ნუცა ლოლობერიძე-ხუციშვილი „დოკუმენტურ-მხატვრულ“ მოთხრობებს უწოდებდა.

მსგავსად ლოლობერიძის<sup>8</sup> შემოქმედებისა, რომელშიც რეჟისორი რეპრესირებული დედის ხატს ამკვიდრებს, ზაირა არსენიშვილმა 1937 წელს რეპრესირებული მამა – ივანე (ვანო) არსენიშვილი, „ვა, სოფელოს“ ასევე ტრაგიკულ პერსონაჟად აქცია. ვანო არსენიშვილი, თელავის აღმასკომის მგეგმავ-ეკონომისტი (იგი არასოდეს იკავებდა რაიმე მაღალ პარტიულ თანამდებობას) 1937 წლის დეკემბერში აბსურდული მიზეზით, დასმენის ნიადაგზე დააპატიმრეს და ორ თვეში დახვრიტეს, თუმცა ამის შესახებ ოჯახმა მოგვიანებით, მისი რეაბილიტაციის შემდეგ შეიტყო (რატიანი 2010, 229; არსენიშვილი 2011; არსენიშვილი 2014). მწერალი ამ დროისათვის ექვსი წლის იყო, თუმცა ტრავმული მეხსიერება მთელი ცხოვრების განმავლობაში გაჰყვა: „მამის გამო ადრეულ ბავშვობაში მიღებული განცდა დღემდე არ მტოვებს“ (არსენიშვილი 2000, 8).

ფართო საზოგადოება ზაირა არსენიშვილს სიცოცხლეში იცნობდა როგორც სცენარისტსა და მუსიკოსს, ნაკლებად – როგორც მწერალს. მიუხედავად იმისა, რომ სისტემის მამხილებელ რომანებზე – „ვა, სოფელო“, „რეკვიემი ბანის, სოპრანოსა და შვიდი ინსტრუმენტისთვის, ანუ ახალგაზრდა მთხზველის პორტრეტი“<sup>9</sup> – მუშაობა მან ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო,<sup>10</sup> არსენიშვი-

7 საბოლოოდ ფილმის ბედი ედუარდ შევარდნაძის უშუალო ჩარევამ გადაწყვიტა, მასსა და სახკინოს თავმჯდომარეს, ფილიპ ერმაშევს შორის სატელეფონო კომუნიკაცია შედგა, რის შემდეგაც, როგორც ლოლობერიძე თავის მემუარებში – „რაც მაგონდება და როგორც მაგონდება“ – იხსენებს, ფილმი კუპიურების გარეშე დაამტკიცეს. აღსანიშნავია, რომ ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ედუარდ შევარდნაძემ კინოფილმის პროდუქციასთან დაკავშირებით რეჟისორს დახმარება გაუწია.

8 რეჟისორის უკანასკნელი, 2023 წლის დოკუმენტური ფილმი „დედა-შვილი ან ლამე არ არის ბოლომდე ბნელი“, ასევე დედას და მის დედასთან ურთიერთობას ეძღვნება.

9 შემდეგში გამოყენებული იქნება რომანის შემოკლებული სათაური – „რეკვიემი“.

10 2011 წელს ჰაინრიხ ბიოლის ფონდში გამართულ დისკუსიათა სერიაზე „საბჭოთა კავშირის გააზრება“, მომხსენებლის სიტყვებს – „პერესტროიკის პერიოდში, როცა რუსული პრესა მიჰქონდა ე.წ. „არალეგალურ“ ლიტერატურას, ქართველებმა თითქმის ვერაფერი ვერ აღმოვაჩინეთ. (...) 30-იან წლებიდან მწერალთა კავშირის გარეთ საქართველოში ხარისხიანი ლიტერატურა არ იქმნებოდა. შოთა ჩანტლაძე და ნიკო სამადაშვილი გამონაკლისია“ (ბექიშვილი და კეკელიძე 2012, 16) – ზაირა არსენიშვილის პროტესტი მოჰყვა: „(...) უნდა შემოგედათ: მაშინ, როცა არაფერს

ლის შემოქმედების აქტიური რეცეფცია ფაქტობრივად 21-ე საუკუნეში შედგა. შესაძლებელია, ითქვას, რომ იგი „უჯრისთვის“ ქმნიდა „ალტერნატიულ ლიტერატურას“ იმ იმედით, რომ ოდესმე მათ გამოქვეყნებას შეძლებდა. მწერალი 1960-იან<sup>11</sup> წლებში, ასევე 1980-იანი წლების ბოლოს, „პერესტროიკის“ პერიოდში ეცადა, თავისი ანტისაბჭოთა შეტყობინებები მიეტანა მკითხველამდე, მაგრამ ადგილობრივმა პერიოდიკამ არსენიშვილის ტექსტების გამოქვეყნებაზე „გლასნოსტის“ დროებაშიც კი უარი თქვა, მისი სიტყვებით – „მე ხელი მქონდა ჩაქნეული, ვიცოდი, რომ არ ბეჭდავდნენ“ (ინტერვიუ 2011).

როგორც დასაწყისში აღინიშნა, რომანი „ვა, სოფელო“ სრული სახით პირველად, 2002 წელს,<sup>12</sup> ფილმის გამოსვლიდან 19 წლის შემდეგ გამოიცა,<sup>13</sup> მეორედ კი, კვლავ მცირე ტირაჟით, 2011 წელს – არც ერთ ამ გამოცემას რაიმე მნიშვნელოვანი გამოხმაურება არ მოჰყოლია.

ფართოდ გავრცელებული მოსაზრებაა, რომ წარსულის გასააზრებლად გარკვეული დროითი დისტანციის არსებობა აუცილებელი წინაპირობაა (Ottomeyer 2004, 5-6). სავარაუდოა, რომ ზაირა არსენიშვილის შემთხვევაც ამ პოზიციას ამყარებს: მწერლის შემოქმედების თავიდან აღმოჩენა, ფაქტობრივად, „ბაკურ სულაკაურის გამოცემლობას“ უკავშირდება, რომელმაც რომანი „ვა, სოფელო“ 2019

მიბეჭდავდნენ, დაწერე ორი რომანი და მოთხრობები ამ სისტემის წინააღმდეგ. (...) იქ („ვა, სოფელო“ – ნ.ბ.) არის 24 წელი, კოლექტივიზაცია, 37 წელიც (ბექიშვილი და კეკელიძე 2012, 23).

11 1960-იან წლებში არსენიშვილმა შეძლო ლიტერატურულ პერიოდიკაში გამოქვეყნებინა მონაკვეთი „ვა, სოფელოდან“, რომელშიც ევა პატარა რუსიკოს ტყეში სოკოს საკრეფად წაიყვანს. რედაქციამ ავტორს შესთავაზა, წინადადებიდან – „ჩვენ, დარბეულები ბებია ევამ შეგვიფარა“, ამოეღოთ ფორმულირება „დარბეულები“, რაზეც ავტორმა კატეგორიული უარი განაცხადა, ამრიგად ეს მონაკვეთი ცენზურას არ დაექვემდებარა. მოგვიანებით, იგივე რედაქცია არსენიშვილის რომანიდან 1905 წლის რევოლუციის ეპიზოდის დაბეჭდვას არც კი განიხილავს. საგულისხმოა, რომ თითქმის სამი ათეული წლის შემდეგ, 1988 წელს, მწერალი კვლავ ეცადა ამჯერად „რეკვიემიდან“ სოლანლულში მემორიალის გახსნის ეპიზოდის დაბეჭდვას, რომელზეც ასევე უარი ეთქვა (ინტერვიუ 2011).

12 მომდევნო წელს „ვა, სოფელო“ ახლად დაარსებული ლიტერატურული პრემია „საბას“ (2003) საუკეთესო რომანის კატეგორიაში წარადგინეს, თუმცა პირველობა აკა მორჩილაძის წიგნს „შენი თავგადასავალი“ ერგო. ჟიურის ამგვარი გადაწყვეტილება აღძრავს შთაბეჭდილებას, რომ ქართული საზოგადოება საბჭოთა წარსულზე ლიტერატურული რეფლექსიისთვის მხოლოდ მსუბუქ, გასართობ მოდულში იყო მზად. აღსანიშნავია, რომ უფრო ადრე, ვერც არსენიშვილის პირველი რომანისათვის, „რეკვიემისთვის“, 1998 წელს მინიჭებულმა სახელმწიფო პრემიამ (შოთა რუსთაველის სახელობის პრემია) ვერ შეძლო ხალხის ყურადღების მიპყრობა.

13 ირონიულია, რომ 19-წლიან მონაკვეთში, როგორც ფილმის გამოსვლისას (1983 წელი), ისე რომანის პირველად გამოცემისას (2002 წელი), საქართველოში ქვეყნის პირველი პირის თანამდებობას ედუარდ შევარდნაძე იკავებს. საბჭოთა კავშირის პერიოდში იგი საქართველოს სსრ კომპარტიის ცკ-ს პირველი მდივანია, ხოლო დამოუკიდებელ საქართველოში – ქვეყნის პრეზიდენტი.

წელს გამოსცა. მცირე ხანში რომანი ბესტსელერთა სიის სათავეში მოექცა – ერთი მხრივ, ცხადია, წარმატება რომანის მაღალმხატვრულ ღირებულებას უკავშირდება, თუმცა მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს გამომცემლობის მიერ წარმართული სწორი მარკეტინგული სტრატეგია. გამომცემლობამ შეძლო, საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცია ზაირა არსენიშვილი და მისი დიდტანიანი რომანი. მწერლის ამ რომანის გამოცემა რედაქციისთვის წარმატებული აღმოჩნდა, რაკი მომდევნო წლებში მათ არსენიშვილის შემოქმედება სრულად გამოსცეს. მკითხველთა დაინტერესება იმ მწერლის რომანებითა და მოთხრობებით, რომლის შემოქმედების მთავარი კონცეპტუალური ჩარჩო საბჭოთა წარსულზე განსჯაა, მიანიშნებს იმაზე, რომ ქართულ საზოგადოებას XXI საუკუნის 20-იან წლებში აღმოაჩინდა მზაობა მტკივნეულ წარსულზე დასაფიქრებლად.

საცნაურია ფილმის პროდუქციისა და ცენზურასთან შემოქმედებითი ჯგუფის ურთიერთობის ისტორია, რადგან ამ შემთხვევით ეპოქის რეალური სახე წარმოჩნდება. ფილმზე მუშაობა 1980 წელს მოსკოვის „სახკინოს“ მიერ სცენარის მიღების პროცესით უნდა დაწყებულიყო. ამ დროს ლოლობერიძეს მთავარმა ცენზორებმა განუცხადეს: „თქვენი სცენარის მიხედვით გამოდის, რომ ყველაფერი, რაც იყო, ფუჭია – რევოლუციაც, კოლექტივიზაციაც და, საერთოდ, მთელი ბრძოლა უკეთესი ცხოვრებისთვის. შედეგი მიტოვებული სოფელი და ადამიანის მუდმივი მარტოობა“ (ლოლობერიძე 2019, 366). ამ გარემოებათა გათვალისწინებით კი რეჟისორს არა თუ სარედაქციო შესწორებებს სთხოვდნენ, არამედ ერთმნიშვნელოვნად უარს ეუბნებოდნენ ფილმის დაფინანსებაზე. სავარაუდოდ, ყველაფერი სცენარის ეტაპზევე შეჩერდებოდა, რომ არა ედუარდ შევარდნაძის კეთილი ნება,<sup>14</sup> რომელიც ამ დროისათვის, გარდა იმისა, რომ საქართველოს სსრ კომპარტიის ცკ-ს პირველი მდივნის თანამდებობას იკავებდა, პოლიტიბუროს წევრობის კანდიდატიც იყო, რაც სახკინოს წინაშე მეტ ძალაუფლებას სძენდა. შევარდნაძემ წაიკითხა სცენარი და ლოლობერიძეს მცირედი ცვლილების შეტანა ურჩია, რათა ცენზორები დარწმუნებულიყვნენ,

14 რადგან წინამდებარე კვლევაში ლოლობერიძის ცენზურის წინააღმდეგ ბრძოლისას შევარდნაძის ფიგურა დადებითად წარმოჩნდება, მცდარი ინტერპრეტაციისგან თავის ასარიდებლად აუცილებელია აღინიშნოს შემდეგი: გავრცელებული მოსაზრება, თითქოს 1970-იან წლებში ედუარდ შევარდნაძის დამსახურებით ქართული კინო ადგილობრივ დონეზე ცენზურისგან გათავისუფლდა, სიმართლეს არ შეესაბამება. ეროვნული ცენზურა ამოქმედდებოდა მყისიერად, როგორც კი შევარდნაძის პირად კარიერას საფრთხე შეექმნებოდა: შესაძლებელია, სულ მცირე, ორი კინოფილმის დასახელება – გელა კანდელაკის 1979 წლის ფილმი „უბედურება“ და მერაბ კოკოჩაშვილის იმავე წელს დასრულებული ფილმი „ცხელი ზაფხულის სამი დღე“, რომელთა ცენზურაში შევარდნაძე უშუალოდ ჩაერია (გვახარია და კოკოჩაშვილი 2011, 34-35; გვახარია 2021, 240-246).

რომ გადამღები გუნდი კომპრომისებზე თანახმა იყო (ლოლობერიძე 2019, 367). დათმობის შედეგად, ფილმის პროტაგონისტი ევა, სცენარის ვერსიისგან<sup>15</sup> განსხვავებით, ფინალში მარტოობაში აღარ კვდება, ეს ეპიზოდი ერთგვარად გათამაშებული აღმოჩნდება – მას ქალაქიდან მობრუნებული შვილიშვილის ხმა გამოაფხიზლებს. ეს იყო ხარკი, რომლის გაღებაც რეჟისორს მოუწია, რათა ფილმს პესიმისტური დასასრული არ ჰქონოდა. წლების შემდეგ რეჟისორი ინტერვიუში განაცხადებს: „მე ეხლაც არ ვიცი რა სჯობდა, მომკვდარიყო თუ არა“ (ლოლობერიძე 2020). საბოლოოდ, დასაწყისში დაწუნებული ფილმი სისტემამ „საექსპორტო ფილმად“ გამოიყენა: „დღეს ღამე უთენებია“ 1984 წლის კანის კინოფესტივალის მთავარ საკონკურსო პროგრამაში იყო ჩართული. მიუხედავად იმისა, რომ ფილმი არც ერთ კატეგორიაში არ აღუნიშნავთ, ადგილობრივი პრესა თავად ამ ფაქტსა და სურათის ქართულ ეკრანებზე გამოსვლას მხოლოდ დადებითად გამოეხმაურა: „პოეტური ფილმი“ (კომუნისტი, 1984 წლის 20 მაისი), „ადამიანი გაიმარჯვებს კიდეც“ (ლოლობერიძე 1984), „კანის ფესტივალის ექო“ (ლიტერატურული საქართველო, 1984 წლის 17 აგვისტო), „ეკრანზეა ახალი მხატვრული ფილმი“ (თბილისი, 1984 წლის 31 დეკემბერი).

### გრანსმედიური ნარატოლოგია როგორც რომანიზაციის კვლევის ინსტრუმენტი

ამერიკელი კინომკვლევარი რენდელ ლარსონი (Randall D. Larson) რომანიზაციის სამ ფორმას გამოყოფს: ა) თუ კინოფილმი რომანის ეკრანიზაციაა, გამოიცემა რომანის რეპრინტი, რომლის გარეკანიც ფილმიდან აღებული კადრით ფორმდება, ხოლო თუ სურათი ეკრანებზე შეცვლილი სათაურით გამოვიდა – კინოფილმის შესაბამისად იცვლება ახალი გამოცემის დასათაურებაც; ბ) სცენარისტის რომანის ფორმის მიცემა (შინაარსის უცვლელად) და მისი გამოცემა; გ) თვისებრივად ახალი რომანის შექმნა, რომელიც ფილმის პერსონაჟებს, თემატიკასა და გარემოს (ინგლ. setting) ეფუძნება (Larson 1995, 3). ადაპტაციის კვლევებში შემუშავებული მიდგომის ფარგლებში კი გამოიყოფა ადაპტაციის სამი ტიპი: ა) ე.წ. „ერთგული“ ადაპტაცია (ინგლ. close), ბ) თავისუფალი ადაპტაცია (ინგლ. Loose) და გ) შუალედური (ინგლ. intermediate) ადაპტაცია (Desmond and Hawkes 2006, 3). წინამდებარე თეორიული წანამძღვრების გათვალისწინებით, ზაირა არსენიშვილის

15 სიუჟეტის ეს ხაზი შენარჩუნებულია რომანში: მაკა, კინოფილმის ევას ერთ-ერთი „ჰიპოსტასი“ სწორედ ფილმში ნაჩვენებ სიკვდილის სცენით ესაღმება სიცოცხლეს – იგი საგანგებოდ მოირთვება ქართული ეროვნული სამოსით, რომელსაც ამ დღისთვის წლების მანძილზე სკივრში ინახავდა.



რომანი „ვა, სოფელო“ შესაძლებელია განვიხილოთ რომანიზაციად, რომელშიც იგულისხმება ფილმზე დაფუძნებული თვითმყოფადი (ინგლ. original) მხატვრული ტექსტის შექმნა. ამასთან, რაკი ზაირა არსენიშვილის იგივე რომანი, თავის მხრივ, ადაპტაციას წარმოადგენს, ეს უკანასკნელი უნდა განვსაზღვროთ შუალედურ ადაპტაციად.

ამოსავალსა („დღეს ღამე უთენებია“) და სამიზნე („ვა, სოფელო“) მედიებს შორის კონტრასტულ და ეკვივალენტურ მიმართებათა გამოსავლენად სტატიაში გამოყენებულია ვერნერ ვოლფის მიერ შემუშავებული „ტრანსმედიური ნარატოლოგიის“ თეორია. ტერმინი „ტრანსმედიური“ აღნიშნავს ფენომენებს, რომლებიც განსხვავებულ მედიებში იჩენს თავს, ე.ი. მათი წარმოშობა არც ერთ კონკრეტულ მედიას არ უკავშირდება (Wolf 2004, 82). ამგვარი დაშვება საშუალებას იძლევა, სხვადასხვა მედიუმში წარმოდგენილი ნარატივი ერთი და იმავე მიდგომით იყოს გაანალიზებული. მედიის განურჩევლად ნებისმიერი ფიქციური ნარატივი მოიცავს „ნარატემების“ სიმრავლეს – ნარატემები „ინტრაკომპოზიციური ელემენტებია, რომლებიც გადმოსცემენ ტექსტებისა და არტეფაქტების ნარატივებს და განსაზღვრავენ მათ ნარატიულ თავისებურებებს“<sup>16</sup> (Wolf 2004, 87). თეორეტიკოსი გამოყოფს ნარატემების სამ ჯგუფს, სახელდობრ: ა) **ზოგად, თვისებრივ ნარატემებს** (ინგლ. general, qualitative narratemes), რომლებიც აღნიშნავენ: დროს (რომელიც მოთხრობილი ამბების შედეგად აშკარავდება), მოთხრობილ სამყაროებსა და რეციპიენტის გამოცდილებას (ემოციურად და წარმოსახვითად იყოს მონათხრობზე მიჯაჭვული); ბ) **შინაარსობრივ ნარატემებს**<sup>17</sup> (ინგლ. content narratemes), რომლებიც მოიცავენ: მოქმედების შუაგულში მოქცეულ ანთროპომორფულ პერსონაჟებს, დროსა და სივრცეში განფენილ ხდომილებებს (კონფლიქტს), ცალკეულ აგენტებს, რომლებიც მხატვრულ ტექსტში მათი ჩართვის მიუხედავად ამოიცნობა როგორც ფაქტობრივი; გ) **სინტაქსურ ნარატემებს** (ინგლ. syntactic narratemes), რომლებშიც თავს იჩენს დისკურსი შინაარსობრივი ნარატემების სელექციის, კომბინაციისა და რეპრეზენტაციის შედეგად. დისკურსის წარმოებით (შინაარსობრივი ნარატემების დამუშავებით) სინტაქსური ნარატემები უკავშირდება ზოგად ნარატემებს, ამრიგად, იქმნება არისტოტელესეული ერთიანობა დასაწყისის, შუაგულისა და დასასრულისა, წარმოიქმნება თემატური მთლიანობა. სინტაქსურ ნარატემებთანაა დაკავშირებული ასევე ქრონოლოგია და ტელეოლოგია – ეს უკანასკნელი მოიცავს მოქმედი პირის გეგმებსა და მიზნებს, წინააღმდეგობებსა

16 (..) the intracompositional factors that render texts and artefact narratives and determine their degree of narrativity (..).

17 ვოლფი მათ ტექსტის მთავარ „სამშენებლო მასალას“ უწოდებს (Wolf 2004, 88).

და სირთულეებს, რომლებიც მას გადახდება. ამასთან, სინტაქსური ნარატემების შემადგენელი ნაწილია იმგვარი სტრუქტურული ელემენტები, როგორიცაა ტექსტში არსებული თავდაპირველი ჰარმონიის, სამართლიანობის აღდგენა, რაც დიდწილად განსაზღვრავს კიდეც სიუჟეტის განვითარებას (Wolf 2004, 87-88).

### **ზოგადი ნარატემები ფილმსა და რომანში**

კინოსურათისა და რომანის შედარების საფუძველზე ტრანსმედიაური ნარატემების განხილვამდე, საჭიროა გამოიყოს ძირეული სიუჟეტური განსხვავებები, რომლებიც საკვლევ ობიექტებში იჩენს თავს: ტექსტი მრავალპერსონაჟიანია – მოქმედ პირთა სიმრავლე ავტორის ხელში ერთგვარი ხელსაწყოა სხვადასხვა საკითხის წამოსაჭრელად. რომანის მთხრობელი ავტორთან, ზაირა არსენიშვილთან იგივდება, რაც ავტობიოგრაფიული ელემენტების ჩართვით აშკარავდება. ამასთან, მხატვრულ ტექსტში ასახულია ისტორიული რეალობა: 1924 წლის „სისხლიანი ქორწილის“ ეპიზოდი, საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მებრძოლი ქაქუცა ჩოლოყაშვილის კრიტიკა, თავად-აზნაურობის „პოგრომი“ კახეთში, 1937 წლის რეპრესიები, გაცილებით ღრმად და მტკივნეულად წარმოჩნდება „ნეპ“-ისა და კოლექტივიზაციის თემატიკა, მეტად განვითარებულია საბჭოთა ხელისუფლების მიერ რელიგიასთან ბრძოლის ხაზი, ვხვდებით ბელადთან, სტალინთან, დაკავშირებულ წინააღმდეგობრივ ნარატივებს (ფილმში სტალინის სახელი მხოლოდ ერთხელ, მოხეტიალე მსახიობების სიმღერაში გაიჟღერებს); ცენზურისგან გათავისუფლება ავტორს ასევე აძლევს შესაძლებლობას, ფილმის მოქმედ პირთა ბედი რომანში სრულად, მისეული ვერსიით გვიჩვენოს, მაგალითად: ფილმში დადებითად წარმოდგენილი, მარქსისტული იდეებით გამსჭვალული, ახალგაზრდა რევოლუციონერი არჩილ აბელიშვილი რომანში სისტემამ ჯერ „სამეულის“ წევრად, ჯალათად აქცია, საბოლოოდ კი არც დაინდო იგი და დიდი წმენდისას დახვრიტა. ფილმში პრობლემურ საკითხად დასმული მაღალმთიანი სოფლის დაცლის თემატიკა სრულად უგულვებელყოფილია რომანში.

საწყისი და სამიზნე მედიაპროდუქტების დიფერენსში რეტროსპექტიულად გადმოიციემა ამბები, რომლებიც მოხდა საქართველოს გასაბჭოებამდე და მის შემდეგ. მხატვრული დროის, როგორც ზოგადი ნარატემის გაანალიზებისას, ორივე მედიაში აშკარავდება მინიშნება რეციპიენტთა თანამედროვეობის, მათი აწმყო დროის შესახებ. ფილმში მოვლენათა განვითარება, შესაძლებელია ვივარაუდოთ, 1980-იან წლებამდე აღწევს, რომანში კი წყვეტილი თხრობა 2000-იანი წლების დასაწყისამდე განვრცობილი. ჯერ კიდევ რუსი საბჭოთა კი-

ნომცოდნე, ანრი ვართანოვი 1985 წლის წერილში – „დღე და ღამე“ – აღნიშნავდა, რომ მოხუცი ევას ცხოვრება მთაში, ეს მათი, მაყურებლის დროა (ვართანოვი 1985, 42). რაც შეეხება რომანს, მასში სათხრობი დროის დიაპაზონი შემდეგი ციტატით ამოიცნობა: 1962 წელს გარდაცვლილი რუსუდან ბებიის შესახებ მთხრობელი, რუსიკო, ამბობს – „ოთხ ათეულზე მეტმა წელმა განვლო მას შემდეგ (...)“ (არსენიშვილი 2019, 653-655), ეს უკანასკნელი კი მეტ-ნაკლებად ემთხვევა რომანის პირველი გამოცემის დროს – 2002 წელს. ავტორთა მხრიდან კინოფილმსა და რომანში ჩართული რეჟერენსი აწმყო დროზე, მათი მიმართვა უწინარესად თანამედროვეთათვის და ამრიგად, დიალოგის წამოწყების მცდელობა, შესაძლებელია გავაიგივოთ ერთგვარ შეტყობინებასთან: წარსულზე განსჯა და რეფლექსია, მისი გადალახვის წინაპირობაა, წარსულის შესახებ სიმართლის ცოდნა თანამედროვე საზოგადოებისთვის ტკივილისგან გათავისუფლების ერთადერთი გზაა, მხოლოდ ამ შემთხვევაში იქცევა იგი ისტორიის კუთვნილებად. წარსულის გააზრებისა და დაძლევის მოტივი, მისი აუცილებლობა რომანში ღიად, ევას სიტყვებითაც დასტურდება, იგი პატარა რუსიკოს არიგებს: „(...) ამას ყველაფერს იმიტომ გეუბნები, ჩემო კარგო და მშვენიერო, რომ წინა კაცი უკანას ხილია და შენც იქნებ რამეში წაგადგეს ჩემი ამბავი...“ (იქვე, 212).

რაკი ფილმის კომპოზიცია გახსენების პროცესს ასახავს, მას სპეციფიკური დროითი სტრუქტურაც აქვს, რაც იმაში გამოიხატება, რომ პროტაგონისტის, ევას ცხოვრებაში უკვე მომხდარი მოვლენები ანალეფსისებისა და პროლეფსისების სახით გადმოიცემა, ე.ი. ეკრანზე ხანში შესული მთავარი მოქმედი პირის აწმყოს წარმოდგენა მუდმივად წყდება წარსულის ჩართული ეპიზოდებით. ამასთან, აშკარაა, რომ ევას მიერ თავისი ცხოვრების გახსენებით, ცალკეული ინდივიდის მიერ, ერთი შეხედვით, პირადი, ქალის ტრავმის გადმოცემით, მაყურებლის წინაშე საქართველოს ისტორია საცნაურდება: სათხრობი დრო ერთგვარ დიქტომიურ არეალშია მოქცეული, რაც აღძრავს შთაბეჭდილებას, რომ ფილმში ინსცენირებულია ორი დროის, ფორმაციის – ძველისა (გასაბჭოებამდელი საქართველო) და ახლის (რევოლუციის შემდგომი საქართველო) – შეჯახება ორი ადამიანის სახით (ევას პირველი და მეორე ქმარი – გიორგი და სპირიდონა). ეს უკანასკნელი დასტურდება სივრცობრივადაც: წარსულში ევას ბედნიერი ქორწინება გიორგისთან მთაში და ევას უმიზნო ცხოვრება სპირიდონასთან, ურბანულ გარემოში. სხვაგვარად რომ ითქვას, ფილმში წარმოდგენილია „მითოლოგიზებული არაკისა“ და „კინემატოგრაფიული რეალიზმის“ (ვართანოვი 1985, 42) შეპირისპირება.

რაც შეეხება, „ვა, სოფელოს“, როგორც უკვე აღინიშნა, ინტერმედიური ტრანსპოზიციის შედეგად, მასში თავს იჩენს დამატებულ პერსონაჟთა სიმრავლე. რომანის მთავარი სიუჟეტური ქარგაც, – ბეზიისა და შვილიშვილის (რუსუდანი და რუსიკო) მიერ წარსულის თხრობა ევას გარდაცვალების ღამეს – რომელიც ნაწარმოების სხვადასხვა ხაზს ამთლიანებს, სწორედ დამატებულ მოქმედ პირთა საშუალებით აიგება. ორი ქალის – ძველი და ახალი თაობის – ხანგრძლივი, წყვეტილი და დროში განფენილი მონათხრობი, რომელიც საქართველოს გასაბჭოებამდე იწყება, სხვა არაფერია თუ არა, გახსენების პროცესი. გარდა იმისა, რომ რომანის სიუჟეტში შენარჩუნებულია საეკრანო ევას თავგადასავალი, რომელშიც საქართველოს ისტორიის, ბედის ამოკითხვაა შესაძლებელი, საცნაური ხდება ავტორის ინტენცია, რომ იგი ახალგაზრდა მთხრობელთან, რუსიკოსთან გაიგივდეს (ზაირა არსენიშვილის ავტობიოგრაფიული ელემენტები საკუთრივ ამ პერსონაჟთან მიმართებით დაუფარავად ჩნდება რომანში). თუ კინემატოგრაფიულ ვერსიაში ევას ცხოვრებაზე დაკვირვებით, სიმბოლურ-ალეგორიულად, საქართველოს წარსული იკითხება, ლიტერატურულ ვარიანტში ზაირა არსენიშვილის ავტობიოგრაფიის ჩართვა და ამრიგად, რეპრესირებული ოჯახის სატკივრის გადმოცემა, უფრო მეტად ამძაფრებს რეჟიმის მხილების ამოცანას. შემოქმედებითი თავისუფლების მოპოვების შედეგად, სამიზნე მედიის მხატვრულ სამყაროში დამატებული მწერლის ცხოვრების ტრავმული ეპიზოდები, მკითხველის მიერ რეცეფციის პროცესში ამოიცნობა, რაც წარსულის რეკონსტრუირებისას მონათხრობს განსაკუთრებულ ლეგიტიმაციას სძენს.

### შინაარსობრივი ნარატემები ფილმსა და რომანში

ამოსავალსა და სამიზნე მედიაში მთავარი კონფლიქტის განმაპირობებელი ხდომილება საბჭოთა რევოლუციაა, სწორედ რევოლუციასთან დაკავშირებული ტრაგიკული მოვლენები აყენებს პერსონაჟებს ტრავმას. ფილმში პროტაგონისტად წარმოდგენილი ევა რომანიზაციაში „ისტორიული ქარტეხილების მომსწრე“ (არსენიშვილი 2019, 156) სამ ქალად (ევა, რუსუდანი და მაკა) გარდაიქმნა – თითოეული ეს პერსონაჟი ფილმის ევას პიროვნული ან მისი ცხოვრებისთვის დამახასიათებელი ნიშნებით აღიწერება. მედიური ტრანსფორმაციისას სამიზნე ტექსტში პროტაგონისტთა რაოდენობრივი ცვლილება იდეოლოგიური წნეხისგან გათავისუფლების ერთ-ერთი საგულისხმო მაჩვენებელია, რადგან სწორედ დამატებულ პერსონაჟთა საშუალებით ხდება შესაძლებელი „ვა, სოფელოში“ დასახულ საკვანძო საკითხზე – წარსუ-

ლის გააზრება, გადალახვა – დაუფარავად განსჯა. რაც შეეხება კონფლიქტის ცენტრში მოქცეულ ანთროპომოფრულ პერსონაჟებს, რომლებიც წინამდებარე მედიებში გაიაზრება როგორც ანტაგონისტები, კინოსურათის შემთხვევაში ეს სპირიდონაა, რომანში კი ავტორმა, სავარაუდოდ, მიზანმიმართულად (სამი ქალი პროტაგონისტის საპირწონედ), მამრობითი სქესის სამი უარყოფითად კონოტირებული ანტაგონისტი (წარსულში რევოლუციონერი სპირიდონა, თელავის რევოლუციური უჯრედის მესვეური არჩილი და ჩეკისტი ალიოშა) წარმოადგინა. თითოეული მათგანი სხვადასხვაგვარად უკავშირდება რევოლუციას და ამასთან, მათი ქმედება, უკვე ნახსენებ ქალ პროტაგონისტთა ცხოვრებაზე, მხოლოდ უარყოფით გავლენას ახდენს.

მიუხედავად იმისა, რომ ევა „შემძლე“ გლეხის ქალიშვილია, იგი დაბალ სოციალურ ფენას განეკუთვნება. ის გარემოება, რომ მის ცხოვრებაზე ისტორიული გარდატეხა მძიმედ აისახა, ააშკარავებს ფილმის ლაიტმოტივს – რევოლუცია სულაც არ ყოფილა მსუბუქი და ბედნიერების მომტანი გლეხოვნისთვის, ე.ი. სწორედ იმ კლასისთვის (მუშათა კლასთან ერთად), ვისი სახელითაც რევოლუცია მოხდა. საცნაურია, რომ სურათში ასევე თავს იჩენს ბიბლიური ალუზიები, სახელდობრ, გიორგისთან, ევას პირველ ქმართან მიმართებით: ევას მიერ წინა ღამით ნანახი სიზმარი თუ ხილვა, დილით ახდება, როდესაც მათ მიდამოს მწყემსი გიორგი მოადგება, ახალგაზრდა მამაკაცს ცხვარი დაეხრჩო, სწორედ ისე, როგორც ქალის მიერ ნანახ ჩვენებაში. მიუხედავად იმისა, რომ კინოფილმში გიორგი თითქმის ეპიზოდურად ჩნდება, მაინც შესაძინევია, რომ მისი სახის განვითარება ვიზუალურ პარალელიზმს ეფუძნება – კინოსურათში წმინდა გიორგის ხატზე ევას სატრფოა გამოსახული, თუმცა საეკლესიო სწავლებისგან განსხვავებით, გიორგი, ძველი საქართველოს სიმბოლო, ვერ ამარცხებს ურჩხულს – ახალი „დროების კაცს“, რევოლუციონერ სპირიდონას. სწორედ სპირიდონა კლავს მას, ისევე, როგორც კინემატოგრაფიული დიეგეზისის სოციალურ სინამდვილეში ძველი დროების საქართველოზე იმარჯვებს საბჭოთა რევოლუცია. ამასთან, სპირიდონა ირიბად გიორგის შთამომავლობის მკვლელადაც იქცევა, რაკი გიორგიზე დარდი ევას მუცლად მყოფ ბავშვსაც აკარგვინებს. აღსანიშნავია, რომ ეს რელიგიური მოტივი მედიათეორიის „თარგმანისას“ პოსტსაბჭოთა რომანშიც შენარჩუნებულია.

ევას ჰარმონიული ცხოვრება მთაში სრულდება სპირიდონას ბოროტი ჩანაფიქრის აღსრულებით (გიორგის მოკვლით) და პირველი ქმრის, ჭეშმარიტი სიყვარულის სიკვდილის შემდეგ შინაგანად კვდება ევაც. პროტაგონისტის ცხოვრების უდიდესი ტრავმა კინოსუ-

რათში უთქმელობის ტოპოსით<sup>18</sup> გამოიხატება, რაც შესაძლებელია ამგვარად განიმარტოს: „ახალი დროების კაცის“ მიერ ევასთვის მიყენებული ტკივილი და ტრავმა იმდენად ძლიერია, რომ იგი ვერბალურ გამოხატულებას არ ექვემდებარება. ტრავმის გამოუთქმელობა დაიძლევა ახლად შექმნილ მედიაპროდუქტში, სახელდობრ, რომანში ევა შეძლებს, ენობრივად გადმოსცეს ტრავმა: იგი გამუდმებით იხსენებს გიორგის, რითაც არც თავს და არც გარშემომყოფებს გიორგის დავიწყების საშუალებას არ აძლევს. ლიტერატურულ ტექსტში უთქმელობის ტოპოსის ვერბალური არტიკულაციით ჩანაცვლებას კვლავ ცენზურის წნეხის გაუქმებასთან მივყავართ: რომანში ევა რევოლუციურ პერსონაჟად გარდაიქმნება, ცხოვრების მეორე ნახევარში იგი დევინტია და იმ საზოგადოების სოციალურ-კულტურულ ნორმებს უგულვებელყოფს, რომელშიც ცხოვრობს, ამგვარი მთავარი მოქმედი პირის საეკრანო სახედ ქცევას კი საბჭოთა კავშირის მთავარი საცენზურო ორგანო, სავარაუდოდ, არ დაუშვებდა, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი სხვა მახასიათებლებთან ერთად, ფილმს პესიმისტურ ფინალსაც უწუნებდნენ (იხ. ზევით). იდეოლოგიური ჩარჩოსგან გათავისუფლების შედეგად, რომანის პერსონაჟი ევა შესაძლებელია გაგებულ იქნას, როგორც საეკრანო ევას კრიტიკული გადააზრება, ამ ორ მოქმედ პირს შორის გამოხატული რადიკალური სხვაობა აღძრავს შთაბეჭდილებას, რომ შემოქმედებითი თავისუფლების პირობებში ავტორს თავისი ნამდვილი ჩანაფიქრის განხორციელების შესაძლებლობა მიეცა. გიორგის სიკვდილის შემდეგ სპირიდონასთან თანაცხოვრებისას ევა მთას არასდროს არ დაჰბრუნებია. იგი ამბობს: „ჩემთვის თავისუფლება საყვარელ შრომასთან და სიყვარულთან იყო დაკავშირებული. მე კი ერთიც დავკარგე და მეორეც. დავკარგე ჩემი ადგილი... და დავკარგე თავისუფლება... და კიდევაც ეს იყო უბედურება“ (იქვე, 212). რომანში მოხუცი ევა „აღქაჯად“, „ტყის ქალად“ იქცა, თამბაქოს მოიხმარს, „დარწყილულ“ საცვლებს ატარებს და მარტოსულ დღეებს ბანქოს თამაშით იხალისებს. „ევას თუმცა შვილიც ჰყავდა და შვილიშვილებიც, თავისი რძლის, მაროს გამოისობით, ყველას მიერ, დიდი ხანია აბუებული იყო“ (იქვე, 21). ამაზე რომანის სივრცობრივი სემანტიკაც<sup>19</sup> მიაწინებს: იგი დემონსტრაციულად ჩადის სახლის სარდაფში და სიკ-

18 ქეთი ქარუთი (Cathy Caruth) წიგნში „Unclaimed Experience: Trauma, Narrative and History“ (1996) ამტკიცებს, რომ ტრავმის, ტრავმული სიმართლის გადმოცემა ენობრივად მიუწვდომელია. ამრიგად, მის თეორიაში ტრავმა გამოუთქმელობას (ინგლ. Silence of Trauma (1996, 9)), გადმოცემის შეუძლებლობას დაუკავშირდა.

19 სივრცის სემანტიკური თავისებურება რომანის იმ ეპიზოდშიც იჩენს თავს, როდესაც გარდაცვლილი ევა სარდაფში განისვენებს, მისი რძალი კი სახლის მეორე სართულზე „კუროსთან ნებივრობს“. ამგვარად, ევას მუდმივი მოქიშპე მისი დამცირების შესაძლებლობას ქალის სიკვდილის შემდეგაც არ უშვებს ხელიდან.

ვდილამდე იქ იდებს ბინას. ევა მოქმედებს როგორც ქალი, რომელსაც დასაკარგი აღარაფერი დარჩა, მას შემდეგ, რაც შეიტყობს გიორგის სიკვდილის ნამდვილ მიზეზს, სპირიდონას დატირებაზე უარს აცხადებს, სწორედ მისი დაკრძალვის დღეებში იგი ხაზგასმულად „თავადერილი აქეთ-იქით დადის“ (იქვე, 56).

ეკრანზე კი ოთხმოც წელს მიტანებული ევა ტრავმას უთქმელად დაითმენს და ტკივილის შემსუბუქებას შრომით ცდილობს, რაც კონტრასტულ მიმართებაშია ევას ლიტერატურულ სახესთან. კინოფილმში ევას ცხოვრების კრედო მკაცრ მორალურ კოდექსს ემყარება („კაცს სიკეთის რწმენა უნდა ჰქონდეს“, „კაცი ჭირისთვისაც არის გაჩენილი და ლხინისთვისაც“) და შვილიშვილსაც, გიორგის, მიყრუებულ სოფელში ამავე პრინციპით ზრდის („მთას არ უყვარს ზედმეტი ხორცი“), ქალისთვის ასევე უცხოა მწარე სიმათლის შელამაზება (საკმარისია, გავიხსენოთ ევასა და მისი შვილობილის, დარეჯანის – ეს უკანასკნელი სპირიდონას მეძავისგან შეეძინა – ურთიერთობა). ხასიათის სიხისტითა და სხვა თვისებებით ევა თავის ლიტერატურულ წინაპარს, ოთარაანთ ქვრივს მოგვაგონებს. ილია ჭავჭავაძის მოთხრობის პერსონაჟის მსგავსად, ქვრივი ევასთვის გიორგი ერთადერთი იმედია (ბებიის დამოკიდებულება შვილიშვილის მიმართ ხაზგასმით წარმოჩნდება სურათის უკანასკნელ სცენაში), სწორედ მასში ცდილობს იგი სიკეთის მარცვლის გაღვივებას.

მთაში მარტო დარჩენილი ქვრივი მძიმე ფიზიკურ შრომას ეწევა და ამგვარად იბრძვის, რათა ბარში ჩასული მოსახლეობისთვის მაგალითად იქცეს, უბიძგოს მათ უკან დაბრუნებისკენ მაშინ, როცა ქალაქად მცხოვრები ახალგაზრდა ევა რევოლუციის შემდგომი ახალი საქართველოს მშენებლობის პროცესში არავითარ ინიციატივას არ იჩენს. საბჭოთა იდეოლოგია, რაკი ეს უკანასკნელი უდანაშაულო მსხვერპლსა და ძალმომრეობაზე დგას, ქალისთვის სრულიად გაუგებარია. ევას მხრიდან ახალ სისტემასთან დროებითი დაზავება, მხოლოდ ერთხელ, მის მიერ სოფლად კოლექტივიზაციის განხორციელებაში ჩართვით გამოიხატა (ეს უკანასკნელი პროტაგონისტის მიწასთან, შრომასთან დაბრუნების ერთადერთი საშუალება იყო), თუმცა აქაც იმედი გაუცრუვდა, რაკი ტოტალიტარულ სახელმწიფოში აგრარული სისტემაც ძალმომრეობის პოლიტიკის ნაწილია (გლეხები უარს აცხადებენ კოლექტივში ნებაყოფლობით გაწევრიანებაზე). საცნაურია, რომ უკვე დამოუკიდებელ საქართველოში გამოცემულ რომანში ევას ლიტერატურულ ორეულს კოლექტივიზაციის კეთილშობილური მიზნებით თავის მოტყუება არ უწევს, ეს მოტივი ლიტერატურულ ტრანსფერში გამოტოვებულია. ამრიგად, თავდაპირველ ვერსიაში ევას

ჩართვა კოლექტივიზაციაში უნდა მივიჩნიოთ დროისთვის პოლიტიკური კონიუნქტურისთვის გადახდილ ხარკად.

კინოფილმის მთავარი ანტაგონისტი, ბიბლიურ ურჩხულთან გაიგვივებული სპირიდონა, საბჭოთა პერიოდში შექმნილ მედიაპროდუქტში იმითაა მნიშვნელოვანი, რომ სწორედ მისი საშუალებით ხდება შესაძლებელი მინიშნება რეპრესიებზე. სპირიდონა იმგვარი მოქმედი პირია, რომელიც მიწისქვეშა რევოლუციურ ორგანიზაციას მხოლოდ მერკანტილური მიზნებით შეუერთდა. მას არ ეპატია, რომ რევოლუციას „უგანა“ და „ნეპმენად“ იქცა. თვითმკვლელობამდე სპირიდონა ევას გაუმხელს: „მომდევენ, ევა, მომდევენ. ხალხის მტერი ხარო, მშრომელი ხალხის სისხლის მწოველი წურბელა ხარო. უნდა დაგიჭიროთ და გაგასამართლოთ, ევავ.“ როგორც ირკვევა, სიცოცხლის თავისივე ხელით მოსწრაფებით მამაკაცმა სისტემას მხოლოდ დაასწრო.

ლიტერატურულ ტექსტში სიუჟეტის ტრანსფორმაციის შედეგად, რომანში დაუფარავად ჩანს ის, რაც მხოლოდ მინიშნებულია კინოფილმში – საბჭოთა რეპრესიები. რეპრესიები ბოროტ ძალასთან გარიგებას ემსგავსება: „შავ სიაში“ მოხვედრილი სპირიდონა თავის გადასარჩენად (მას ყარაღაჯაში ბამბის სამუშაოებზე გადასახლება ემუქრება, იქ, სადაც „ხალხი პანტასავით ცვივა ციებისგან“ (იქვე, 371)) და ვაჟისთვის „სოცმდგომარეობის ცნობის“ საშოვნელად (წინააღმდეგ შემთხვევაში გიგლას უნივერსიტეტიდან გარიცხავენ) „შინსახკომის“ დამსმენი ხდება. „ჩეკას“ აგენტობა სპირიდონას იძულებს, გასწიროს ოჯახის წევრი (სიმამრი) და ამრიგად, დააბეზლოს მაწია, რაკი მას უარუყვია კოლექტიური მეურნეობისთვის მოხალისეობრივად საქონლის ჩაბარების შესაძლებლობა. რომანის ამ ეპიზოდით აშკარავდება ჩეკას მუშაობის პრინციპები: დაშინება, „დამუშავება“, იძულებით, მუქარით გადაბირება. გასაკვირი არ არის, რომ ცენზურის პირობებში ეკრანებზე გამოსულ ფილმში „ჩეკა“ ან მისი ფუნქციონირების მექანიზმი, მათ შორის იძულების წესით ოჯახის წევრთა დაბეზლება, საერთოდ არ გხვდება – საბჭოთა კავშირი ებრძოდა იმ ბოროტების გამოშვურებას, რომელზეც იგი იდგა, როგორც ტოტალიტარული სახელმწიფო. ამრიგად, კინემატოგრაფიულ მედიუმში შექმნილ მხატვრულ სამყაროშიც კი იკრძალებოდა საბჭოთა იდეოლოგიის წინააღმდეგ მიმართული სიმართლის რეპრეზენტაცია.

რომანში ღიად წარმოჩნდება დასმენის შედეგიც: „სოფლის ბურჯი, ველ-მინდვრების ბატონ-პატრონი, ღირსებით სავსე, თავმოძვრნე მაწია“ (იქვე, 468) ტაშკენტის ციხეში ხვდება, – მისი ცხოვრების ამგვარი განვითარება ფილმში არ ჩანს – სადაც ღრმად მოხუცი ასრულებს სიცოცხლეს: „ყველაზე ძალიან უსამართლობას სწუხდა, მინდა ვიცოდე,



რატომ ვისჯებით... რატომო... რატომო... სიტყვა, რომელიც მთელ ქვეყანას პირზე ეკერა...“ (იქვე). მაწიას რიტორიკულ კითხვას ეხმიანება მთხრობლის, ამ საზოგადოების რიგი წევრის მიერ დასმული კითხვა, საზოგადოების, რომელშიც „საუკეთესო ხალხი თავისი სიკვდილით არ კვდებოდა“ (იქვე, 584), – „რატომ ვართ ჩვენ ყველა ასეთი უბედურები... რატომ?“ (იქვე, 167).

როგორც უკვე აღინიშნა, სპირიდონას, როგორც რევოლუციონერის, სახისმეტყველება კინოსურათში მეტაფორულად წმინდა გიორგისთან მებრძოლ ურჩხულს უკავშირდება. რომანში ეს ხაზი შენარჩუნებულია და უფრო მეტიც, გამძაფრებულია: ტექსტში გხვდება პარალელიზმი რევოლუციონერ სპირიდონასა და მავნე მწერს შორის, იგი სიმბოლურად მალარიის – რევოლუციის – გადამტან კოლოსთან, ანოფელესთან იგივდება. ამრიგად, რომანში რევოლუცია ერთმნიშვნელოვნად ტანჯვას (სისხლის წოვას) დაუკავშირდა. მალარიით დასნებოვნებული სპირიდონა საავადმყოფოში ექიმის მიერ პრაქტიკანტებისთვის მიცემული დარიგების უნებლიე მსმენელი ხდება. იგი მოსმენილს შინაგან მონოლოგით ეხმიანება:

რა ყოფილა თურმე ეს ციებ-ცხელებათ, რა მოდებული, მთელ ქვეყანაზე გავრცელებული, ყველა სარტყელშიო, მთელ მსოფლიოში... კოსმოპოლიტური ინფექციაო, ანუ, ინვაზიაო, მსოფლიო რევოლუციასავით ყოფილა... (...) ხო სულ იმას ამბობენ, მსოფლიო რევოლუციაო შეჭველიაო... ძალიან კარგი, სწორედაც ყველამ უნდა იწვნიოს ეს სიკეთე, (...) ყველა რო იწვნევს, მაშინ შემოირტყამენ თავში ხელს...

(...) აქა-იქ ჩაესმოდა ხოლმე ყურში საკვირველი ამბავი ადამიანისა და კოლო ანოფელესისა... „ანო-ფე-ლე-სი...“ – რა სახელია, (...) უცხოდ მჟღერი, თითქოს ბედისწერასავით გარდაუვალი (...) სპირიდონას ისე აოცებს ეს კავშირი, (...) ადამიანსა და ანოფელესს შორის... ანოფელესი მალარიის გადამტანიო, (...) მაგრამ ჯერ თვითონ უნდა დაავადდეს ადამიანისგანო (...) ესე იგი, ჯერ თვითონ უნდა დაავადდეს? და ადამიანი ვისგან უნდა დაავადდეს? ანოფელესისაგან... და ანოფელესი? ადამიანისაგან... (...) ანოფელესი ხომ სწორედ ისეა აგებული, სისხლი უნდა წოვოს, თავისი გრძელი, სამკაპიანი ხორთუმიო (...) ... ანოფელესი სისხლის მწოველია, სისხლი მისთვის იგივეა, რაც ჩვენთვის არსებობის პური და უფრო მეტიც, იმიტომ, რომ მისი განაყოფიერებული კვერცხები სისხლის გარეშე ვერ გამრავლდება... (...) ესე იგი, მე გამრავლებ ანოფელესს... (იქვე, 385-388)

რევოლუციის სისხლიან დანაშაულთა მხილებას ემსახურება ასევე რომანში ისტორიული რეალობის შემოჭრა, რომელიც საწყისს მედი-

აში არავითარი ფორმით არ ჩნდება. ფაქტობრივ აგენტად ტექსტში „სისხლიანი ქორწილის“ ეპიზოდი განისაზღვრება, რომელიც 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ, თელავში გაიმართა. ნინა რცხილაძისა და ოფიცერ საშა გამყრელიძის ტრაგედიად ქცეული ქორწილის (რაკი ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულობის ბრალდებით უდანაშაულო ადამიანები დაიხოცნენ) შემდეგ,<sup>20</sup> თელავის „გიგოს გორა“ ადგილობრივთა მესხიერებაში „თელავის გოლგოთად“, „მესხიერების ადგილად“<sup>21</sup> გარდაიქმნება. რომანში იდენტობის განმსაზღვრელი ტრავმა, რომელიც საზოგადოებას საბჭოთა რევოლუციის შედეგად მიაღვა, მატერიალურ-სიმბოლური სახით, მესხიერების ადგილად, არის წარმოდგენილი.

რომანში ლხინის ქართველი თავად-აზნაურები – „ქაქუცას დასაყრდენი“ (იქვე, 547) – ესწრებიან, მათ შორის ისტორიული პირები.<sup>22</sup> საცნაურია, რომ ქორწილი სწორედ იმ დროს იმართება, როდესაც საგანგებოდ ქაქუცას რაზმის უვნებელსაყოფად ბოლშევიკური ხელისუფლება თელავში ცენტრიდან „ჩონ“-ს (რუს. Части Особого Назначения) მიაგლენს ჩეკისტი ტოლსტოვის მეთაურობით (ამ მოქმედ პირსაც რეალური პროტოტიპი მოეპოვება). „სამეულთან“ შეთანხმებით „გეპეუს“ რაზმი საცხოვრებელს ალყას შემოარტყამს და სტუმართაგან მხოლოდ მამაკაცებს წაასხამს „გეპეუში“. მათ უმრავლესობას დახვრეტენ და ნაჩქარევად გათხრილ ორმოებში, გიგოს გორაზე მიწას მიაყრიან (ეს უკანასკნელი დასტურდება არქივით). რომანში ასევე აღწერილია ეპიზოდები, რომელთა ფარგლებშიც ჭირისუფალმა „ჩეკას“ ოჯახის წევრის სხეული არ დაანება და ცხედარი გვიან ღამით ქურდულად მოიპარა. ამგვარად, ერთ დროს თავადი გიგო ვა-

20 ამ საკითხს იკვლევს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიკოსი თენგიზ სიმეშვილი. 2020 წელს გამოიცა მისი წიგნი: „საბჭოთა რეპრესიები თელავში 1921-1924 წლებში: ნაწილი I“. 2019 წელს კი სიმეშვილის ავტორობითა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივზე დაყრდნობით, მომზადდა მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი: „გიგოს გორა – თელავის გოლგოთა“.

21 „მესხიერების ადგილები“ (ფრ. Lieux de Mémoire) ფრანგი ისტორიკოსის, პიერ ნორას (Pierre Nora) მიერ შემუშავებული ცნებაა, იგი აღნიშნავს ერის იდენტობისა და კოლექტიური მესხიერების ადგილებს, რომლებზეც მესხიერება კრისტალდება. აღსანიშნავია, რომ ნორას კონცეფციაში „ადგილი“ გაიაზრება სიმბოლურ ინსტრუმენტად, ამრიგად, იგი შესაძლებელია არსებობდეს როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური სახით (Nora 1989, 7; Nora 1998, IX-X, 632).

22 ქაქუცას შეფიცულნი ელიზბარ და ბიძინა მაყაშვილები (თუმცა, ეს უკანასკნელნი საბჭოთა ჯარის წინააღმდეგ გამართულ შეტაკებებში უშუალოდ არ მონაწილეობდნენ), მათი მამა გიორგი მაყაშვილი, გიორგი ციციშვილი – ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, თელავის ვაჟთა გიმნაზიის პედაგოგი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნათესავი და მისი მხარდამჭერი, ადვოკატი ნიკოლოზ რაზმაძე, კახეთის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის ყოფილი თავმჯდომარე, ასევე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი. თუმცა, ეს არ არის რომანში დასახელებულ ისტორიულ პირთა სრული ჩამონათვალი.

ხვანიშვილის კუთვნილი მიწა რომანში „მეხსიერების ადგილად“, ნიშნად იქცა. ტკივილის მატერიალური გამოხატულება – „გიგოს გორა“ – დაღუპულთა ოჯახებს რევოლუციის სახელით ჩადენილი დანაშაულის ხსოვნას აიძულებს და ცალკეულ ინდივიდებს საერთო ტრავმის მოზიარე ადამიანთა ერთობად აქცევს.

კინოფილმის გარომანებულ ვერსიაში შეუსაბამო დროს გამართული ლხინის მოტივი თემატურად ქაქუცა ჩოლოყაშვილის კრიტიკას ებმის.<sup>23</sup> წიგნში დაუფარავადაა ნახსენები, რომ უკვე საკმარისი ხალხი დაიხვრიტა ქაქუცას მიზეზით, მისი ცოლ-შვილიც კი აწიოკებულია ბოლშევიკების მიერ, და გამოითქმის ეჭვი, რომ უბრალო ხალხზე არც ერთი მხარე არ ფიქრობს. ისტორიულ ფაქტს განეკუთვნება ასევე მემამულეთა დარბევის გადმოცემა: აგვისტოს აჯანყებისა და სისხლიანი ქორწილის წელს ძალადობრივმა სისტემამ ქართველ თავადაზნაურობას დარაზმული „ბოგანო გლეხობა“ დამსჯელ რაზმთან ერთად მიუქსია „ქვებით, კეტებით, თოფებით შეიარაღებულები“ (იქვე, 577) და ნება დართო, მათ ქონებას დაჰპატრონებოდა. აღსანიშნავია, რომ ეს ამბავი არა მხოლოდ მოითხრობა, არამედ მას თან ერთვის მთხრობლის კომენტარი. მისი ინტერპრეტაციით, დადგმული „პოგრომები“ ემსახურებოდა სიცრუეს, რათა შექმნილიყო კლასობრივი აჯანყების მითი (იქვე, 578). ის გარემოება, რომ ზემოთ ნახსენები თემებიდან („სისხლიანი ქორწილი“, კრიტიკული პოზიცია ქაქუცა ჩოლოყაშვილზე, თავად-აზნაურობის პოგრომი) არც ერთი მათგანი რომანის პირველწყაროში არ გვხვდება, კვლავ იდეოლოგიური ემანსიპაციითა და მედიებს შორის დროითი დაშორებულობით, კონტექსტის ცვლილებით აიხსნება.

რომანის ფიქციური პერსონაჟის, არჩილის ნამდვილი ხასიათისა და სატკივრის გამჟღავნებაც ტექსტში ტრაგიკულ ქორწილს და შესაბამისად, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის „სამეულის“ წევრობას უკავშირდება. რომანისგან განსხვავებით, კინოსურათი მაყურებელს საშუალებას არ აძლევს, თვალი ადევნოს არჩილს, რომელსაც რევოლუციონერის მძიმე ცხოვრება აქვს გამოვლილი. საწყისს მედიაში მისი ცხოვრების გადმოცემა ახალგაზრდობის ეტაპზევე წყდება. საეკრანო თავგადასავალში „უტოპიით დაბრმავებული“ (გვახარია 1985, 52) არჩილი იდეალისტურ გმირად წარმოჩნდება. ამასთან,

23 აქ შესაძლებელია ავტორის პოზიციის ამოკითხვა: „ქაქუცას ორმაგი გამოძახილი აქვს კახეთში, არაერთმნიშვნელოვანი და არაერთგვაროვანი, იმიტომ, რომ მაგის გამო ძალიან ბევრი ხალხი შეეწირა ამ ამბავს. მაგალითად, იყო ასეთი შემთხვევები: ქაქუცა თავისი რაზმით, 30 კაცი, მივიდოდა თავის ნათესავთან ვინმესთან, იქეიფებდნენ, წავიდოდნენ. მერე ჩეკადან მივიდოდნენ და მათ აწიოკებდნენ. ჩემთვის არასოდეს ჩაუგონებიათ, რომ ქაქუცა გმირი იყო. ვიცოდი, რომ გასული იყო, როგორც პარტიზანი (რატიანი 2010, 230).“

არჩილსა და ევას შორის მინიშნებული ურთიერთსიმპათია სურათში არ ვითარდება.

სამიზნე მედიაში ცენზურის წნეხისგან გათავისუფლებით არჩილის, როგორც პირველი ტალღის რევოლუციონერის, ცხოვრების უფრო მეტად დამაჯერებელი ტილო იქმნება. რომანში მის მიმართაც „საზღაურის“ პრინციპია (არსენიშვილი 2019, 506) ამოქმედებული: არჩილს, ანტაგონისტ სპირიდონას მსგავსად, სისტემა იმსხვერპლებს (მასაც და მისი ოჯახის წევრებსაც). შესაძლებელია ითქვას, რომ იგი უდანაშაულოდ დაღვრილი სისხლის გამო ისჯება და, ნებისთუ უნებლიეთ, ჩადენილი ბოროტება უკან ბუმერანგივით უბრუნდება. მიუხედავად იმისა, რომ რომანში კრიტიკული პოზიციით გამოხატული რევოლუციური იდეების ქეშმარიტ მიმდევართა მიმართ – „რას ნიშნავს იდეურები, (...) რა სიტყვაა ეს! ბოლშევიკების მიერ მოგონილი ცრუ სიტყვა“ (იქვე, 157), არჩილი სწორედაც რომ რომანის ერთადერთი იდეური პერსონაჟია – იგი მთელი ცხოვრებით რევოლუციას ემსახურა და ყველაზე ძვირფასი, თავისი და ოჯახის წევრების სიცოცხლეც მას შესწირა. სავარაუდოა, რომ არჩილ აბელიშვილის გვარში ბიბლიური მსხვერპლის, პირველი უდანაშაულო მსხვერპლის, აბელის სახელი, შემთხვევით არ ჩნდება. მიუხედავად მისი რევოლუციონერობისა, იგი რომანში მაინც მსხვერპლთანაა გაიგივებული, რევოლუციის მსხვერპლთან, რაკი შეუძლებელია სისხლიანმა იდეამ, რა მიზანსაც არ უნდა ემსახურებოდეს იგი, კეთილი შედეგი მოიტანოს.

„აგვისტოს აჯანყებისას“ მშობლიურ ქალაქს „სამეულის“ წევრად, მკვლელად დაბრუნებული არჩილი უბედური და დაღლილია, იგი თითქოს გრძნობს, რომ მომავალში მასაც ისევე დახვრეტენ, როგორც 1924 წელს მისი თანხმობით ხვრეტენ ქორწილის უდანაშაულო დამსწრეთ. არჩილის დრო 1937 წელს დგება: იგი დიდ ტერორს ემსხვერპლება და მასთან ერთად – მისი ვაჟი და რძალიც (მათ იაპონიის აგენტობა ბრალდებათ). არჩილის გვარში 1937 წლის რეპრესიათა უკანასკნელი, ირიბი მსხვერპლი მისი ერთადერთი შვილიშვილი, ბაბუის მოსახელე, ექვსი წლის არჩილი-ჩიკოა (პატიმარი მამის ეტაპით გადაყვანისას ჩიკო მატარებელს გამოეკიდება, ლიანდაგს დაკრავს თავს და მოგვიანებით საავადმყოფოში გარდაიცვლება). რომანში რევოლუციის გულწრფელი მსახურის მოდგმა არსებობას წყვეტს, არჩილის გენეალოგიური ხაზი წყდება, რადგან დაუშვებელია უტოპიური, სისხლიანი ექსპერიმენტის გაგრძელება. ამრიგად, ამოსავალი მედიიდან, სამიზნე მედიაში პერსონაჟ არჩილის გადატანის შედეგად, კინოფილმში დადებითი კონოტაციების მქონე ახალგაზრდა რევოლუციონერის სახე რომანის ანტაგონისტად იქცა. აშკარაა, რომ სამიზნე მედიაში და-

მატებული ელემენტებით (არჩილი როგორც „სამეულის“ წევრი და ტერორის მსხვერპლი), ე.ი. არჩილის ცხოვრების სრული სურათის გადმოცემით, პოსტსაბჭოთა ტექსტში ძველი თაობის რევოლუციონერის რეალობასთან მეტად მიახლოებული ვერსია გადმოიცემა. ცნობილია, რომ პირველი თაობის ბოლშევიკები პარტიამ, სისტემამ „შავი საქმეების“ შესრულების შემდეგ, სწორედ 1937<sup>24</sup> წელს გაანადგურა. არჩილიც, როგორც ლიტერატურული პერსონაჟი, ამავე გზას გადის.

მედიური ტრანსპოზიციისას, როგორც უკვე აღინიშნა, რომანში იზრდება პროტაგონისტთა რაოდენობა. შედეგად, გარომანებულ ვერსიაში ევას ჰიპოსტასი, პერსონაჟი მაკა ჩნდება. ყმაწვილკაცობისას არჩილი მაკას სატრფოა, ე.ი. ევასა და არჩილს შორის კინოსურათში შეუმდგარი სიყვარულის მოტივი რომანში განხორციელდა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც – უიღბლოდ. მაკა საყვარელ ადამიანს რევოლუციის მიზეზით კარგავს: ერთ-ერთი გადასახლების შემდეგ არჩილი ცოლ-შვილთან ერთად ბრუნდება მშობლიურ თელავში, მაგრამ მამაკაცს იგი ცხოვრების ბოლომდე ვერ ივიწყებს, რაც ქალის ტანჯვის მიზეზად იქცევა. პროტაგონისტი მარტოსული კვდება, საგანგებოდ მორთული ქართული სამოსით. ამ ეპიზოდით რომანიზაციაში გამეორებულია ფილმში გათამაშებული სცენა ევას სიკვდილისა. მაკა, როგორც საეკრანო ევას ლიტერატურული ვარიაცია, რომანში იმ ნიშნითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ტექსტში იგი ემსახურება არჩილის, „ქრესტომათიული რევოლუციონერის“ (იქვე, 563), მხილებას. დაშორებიდან ოცი წლის შემდეგ ყოფილ საქმროსთან, რომელიც იმჟამად „სამეულის“ წევრია, პირისპირ შეხვედრისას ქალი შემდეგ სიტყვებს წარმოთქვამს:

არა, არ ვუწოდებ ამას დახვრეტას, არჩილ! სწორედ შენ გვეუბნებოდი ერთხელ შეკრებაზე, რომ „დახვრეტა“ იურიდიული ტერმინია, იგი მოითხოვს გასამართლებას, უმაღლესი სასჯელის მისჯას და უმაღლესი სასჯელის აღსრულებას, რომ მეფემ კი არ დახვრიტა მანიფესტანტები, არამედ მოკლა! ჰოდა, სამეულიც ჰკლავს, ჰკლავს, ჰკლავს გაუსამართლებლად! და შენ ამას ახლი ქვეყნის შენებას ეძახი?! (იქვე, 568)

ამრიგად, წინამდებარე სცენით, რომლის ჩართვაც რომანიზაციაში მხოლოდ საბჭოთა იდეოლოგიური მანქანის არარსებობის პირობებში გახდა შესაძლებელი, არა მხოლოდ მხილებისა და გმობის საგნად იქცევა ცალკეული რევოლუციონერის ქმედება, არამედ აშკარადდება სიმართლე სისხლიანი „ახალი ქვეყნის შენების“ შესახებ.

24 სერგო ორჯონიკიძე, მამია ორახელაშვილი, ბუდუ მდივანი, მიხეილ ოკუჯავა, მალაქია ტორიშელიძე, ლევან ლოღობერიძე – ეს ჩამონათვალი 1937 წელს დახვრეტილ ქართველ ბოლშევიკთა, პირველი თაობის რევოლუციონერთა, მხოლოდ მცირე ნაწილს მოიცავს.

რომანში პროტაგონისტთა კონფიგურაციის ცვლილება მხოლოდ მაკას დამატებით არ სრულდება. მასთან ერთად სამიზნე ტექსტში მთავარ მოქმედ პირად რუსუდანი წარმოჩნდება და ამგვარად, ლიტერატურულ ტექსტში ზაირა არსენიშვილის ავტობიოგრაფიული ელემენტები იჩენს თავს. ფილმში ევასა და მისი შვილიშვილის, გიორგის ჰარმონიული თანაცხოვრება წიგნში ჩანაცვლებულია რუსუდან ბებიისა და შვილიშვილი რუსიკოს ურთიერთობით. სწორედ მთხრობლის მიერ ბებიის „ანდერძის“ (იქვე, 66) აღსრულებით, ე.ი. რევოლუციის შედეგად მათ ოჯახში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების გადმოცემით, რომანი ავტობიოგრაფიულ შრეს იძენს. მთხრობლის მიერ რომანში გადმოცემული ტრაგიკული ამბები ოჯახის „კომუნიკაციურ მეხსიერებას“<sup>25</sup> „კულტურული მეხსიერების“ მედიად გარდაქმნის. ამრიგად, ავტობიოგრაფიული მეხსიერების ლიტერატურულ მედიაში შენახვა ზეპირ, მყიფე მეხსიერებას, სტაბილურ მეხსიერებად აქცევს. თავის მხრივ, მეხსიერების შენახვა იდენტობის დაცვას უტოლდება, რაკი ადამიანები სწორედ მეხსიერების საშუალებით შეიმეცნებენ თავიანთ თავს (Assmann 2008, 109). შედეგად, მთხრობელი ბებიის დანაბარების შესრულებით, არა მხოლოდ თავისი ოჯახის იდენტობის მცველი ხდება, არამედ XX საუკუნის საქართველოს ნამდვილი ისტორიისაც, რადგან ცალკეულ ოჯახზე თავს დამტყდარი რეპრესიის მაგალითით, ფაქტობრივად, სოციუმის წარსულზე სიმართლე მოითხრობა.

პერსონაჟ რუსუდანის ცხოვრებაზეც, მსგავსად ორივე პროტაგონისტისა, რევოლუცია და მისი შედეგები ტრაგიკულად აისახა. 1924 წელს იგი ჯერ ვაჟს დაკარგავს – მას „მექორწილებთან“ ერთად დახვრეტენ ქაქუცას მოკავშირეობის ბრალდებით, თუმცა სიმართლე ის არის, რომ გიგი ამ უკანასკნელს არასოდეს არც კი შეხვედრია, 1937 წელს კი დასმენის საფუძველზე აპატიმრებენ და ხვრეტენ სიძეს, რუსიკოს მამას. ვანოს დაჭერის შემდეგ, ოჯახს სახლიდანაც აძევებენ, რათა მათ კუთვნილ ქონებას სისტემა დაეპატრონოს და შეხედულებისამებრ განკარგოს იგი, რაც იმაში გამოიხატება, რომ მოგვიანებით ოჯახს, რომელსაც შინ დაბრუნების უფლება მოუპოვებია, სახლის გაზიარება ჩეკისტ ალიოშასა და მის ცოლ-შვილთან ერთად მოუწევს. აღნიშნულთაგან მწერლის ავტობიოგრაფიულ ფაქტს შეესაბამება შემდეგი:

25 სტატიაში წინამდებარე ცნებათა განმარტებისას ავტორი იან ასმანის (Jan Assmann) თეორიას ეყრდნობა: კულტურული მეხსიერება – ერთგვარი ინსტიტუციაა, ექსტერნალიზებული მეხსიერების სახეობა, რომელიც თავს იჩენს მატერიალურსა და სიმბოლურ ფორმებში. იგი სტაბილური მეხსიერებაა და თაობიდან თაობას გადაეცემა. რაც შეეხება კომუნიკაციურ მეხსიერებას, მისი დროითი დიაპაზონი, კულტურული მეხსიერებისგან განსხვავებით, სამი თაობით შემოიფარგლება, რაც დაახლოებით, 80-დან 100 წლამდე პერიოდია. კომუნიკაციური მეხსიერება ფორმალიზებულ მეხსიერებებს არ განეკუთვნება, ამრიგად, იგი არც ერთ მედიაში არ გვხვდება, გარდა ყოველდღიური კომუნიკაციისა (Assmann 2008, 110-111).

სინამდვილეშიც მამა მან სწორედ ისე დაკარგა, როგორც თავისი პროტოტიპი კარგავს მას (არსენიშვილი თავის ოჯახის წევრების რეალურ სახელებსაც კი ინარჩუნებს რომანში), ამასთან, გარკვეული დროის განმავლობაში მის ოჯახს ნამდვილად მოუხდა შინსახკომელისთვის თავისი ჭერის გაზიარება.<sup>26</sup>

ჩეკისტი, რომელთანაც მთხრობლის ოჯახს თანაცხოვრება უწევს, წინამდებარე სტატიაში მესამე ანტაგონისტად განიხილება. რომანში იგი თვისებრივად ახალი პერსონაჟია, რაკი ამოსავალ მედიაში მაცდუნებელი ჩეკისტის (სპირიდონას დაბეზღებას სწორედ ის აიძულებს) სახე არ გვხდება. ეს ახალგაზრდა მამაკაცი რევოლუციას მიტმასნილი ბოგანოს ტიპური რეპრეზენტაციაა, რომელიც სისტემამ ჯერ აღაზვეა და შემდეგ გაანადგურა. ალიოშას, სანამ ჩეკისტი – „აღამიანის ბედის გამგებელი“ (არსენიშვილი 2019, 435) – გახდებოდა, აბრია ერქვა და მებოსტნეობის სკოლაში სწავლობდა, წითელ არმიას იგი 1921 წელს კახეთის ოკუპაციისას შეუერთდა და ახალი სახელიც ძველის, „გაგრიულის“ ნაცვლად, გარდაცვლილი რუსი ჯარისკაცის პატივსაცემად ერგო. მიუხედავად იმისა, რომ დროთა განმავლობაში ალიოშა კარიერულ კიბეზე გეგმაზომიერად მხოლოდ წინ მიიწევდა, საბოლოოდ, სპირიდონასა და არჩილის მსგავსად, იგი ტოტალიტარული რეჟიმის რეპრესიებს ემსხვერპლა – მისი ჯერი სტალინის გარდაცვალების შემდეგ დადგა.<sup>27</sup> ამრიგად, რომანში დასახული „საზღაურის“ პრინციპი მასთან მიმართებითაც მოქმედებს, მხატვრულ ტექსტში ბოროტება უპასუხოდ არ რჩება.

რომანში ალიოშას ქმედებით ათვისებული სახელმწიფოს მიერ ეკლესიათა აკრძალვის შედეგად დატრიალებული ბოროტებაც საცნაურდება: იგი დამსჯელი რაზმის წევრებთან ერთად ფიზიკურად უსწორდება და ამცირებს მამა ლუკას, რაც მოხუცი მღვდლის სიკვდილის მიზეზად იქცევა. ალიოშა არც „ღვთის გლახა“ მნათეს (რომანში იგი სპირიდონას მამობილად გვევლინება) მკვლელების დასჯას აპირებს: მიუხედავად იმისა, რომ მნათე კლასობრივი მტერი არ იყო, მას არ სურს მავანს საბაბი მისცეს, იფიქროს – „ეკლესიის მსახურისათვის თავი გამოიღო“ (იქვე, 437). ამისგან განსხვავებით კინოსურათში უწყინარი, სულიერად ავადმყოფი მნათეს სისტემის წარმომადგენელთა მიერ მოკვლა, ერთი შეხედვით, თითქოს შემთხვევითობად წარმოჩნდება და არჩილიც სამართლიანობის აღდგენისა და დამნაშავეების დასჯის პირობას დებს. შესაძლებელია, ფილმის ეს ეპიზოდი

26 „შინსახკომელი, რომელიც ჩვენთან ცხოვრობდა, ამბობდა: – ჩვენ რომ ყველა დაგვეპატიმრებინა რამდენი დაბეზღებაც იწერებოდაო, ეს ნიშნავდაო, რომ მთელი საქართველო უნდა დაგვეპატიმრებინაო. რამდენი დაბეზღება დაგვიხვეია და დაგვიყრია, თქვენ ვერ წარმოიდგენთო“ (რატინი 2010, 229).

27 ამ პერსონაჟს არსენიშვილი მოთხრობასაც უძღვნის – „ქარი ამწევი ფარდის“.

განვიხილოთ ეგზემპლიფიკაციად იმისა, როგორ ეპყრობა რევოლუცია სუბალტერნს: ახალი იდეოლოგიით ნაშენებ ტოტალიტარულ სახელმწიფოში მათ სიცოცხლეს ღირებულება არ გააჩნია.

1937 წლის რეპრესიათა გადმოცემა რომანში დაპატიმრება-დახვრეტი არ ამოიწურება, ტექსტში ასახულია თელავის ციხესა და შინსახკომთან მდგარი უშველებელი რიგები, რომლებიც დაპატიმრებულთა შეშინებული და უბედურებით აღსავსე ოჯახის წევრებისგან შედგება. „ვა, სოფელოში“ ასევე იქმნება განსაკუთრებული სახე ციხის ჯალათისა, რომელიც დაჭერილი თანაქალაქელების ოჯახებს ფულსა და საკვებს სძლავდა იმ პირობით, რომ მათთვის გადაცემას შეძლებდა, თუმცა სინამდვილეში მსჯავრდებულები დიდი ხნის წინ სწორედ მის მიერ იყვნენ დახვრეტილნი. ამასთან, რეპრესიათა რეპრეზენტაციის მხრივ, რომანში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა თეატრში საჯაროდ დაგმობის ეპიზოდს, რომელშიც სისტემა აიძულებს ადამიანებს, სცენაზე გამოსვლით დაგმონ და გაემიჯნონ მშობლებს, ნათესავებს, მეგობრებს, კოლეგებს და რაც მთავარია, დაბეზღებულთა, შერისხულთა ოჯახის წევრების თვალწინ. აღსანიშნავია, რომ არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი სცენა ფილმში არ გხვდება.

კინოსურათის არქიტექტონიკის გაანალიზებისას ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ამოსავალი მედიის სპეციფიკური ქსოვილი ინტერმედიური მეტაკომენტარის (მოხეტიალე მსახიობთა<sup>28</sup> „პლასტიკურ-მუსიკალური კომენტარები“<sup>29</sup> (გვახარია 1985, 53)) საშუალებით იქმნება. ამ ინტერმედიურ ფენომენს ანრი ვართანოვი ბერტოლტ ბრეხტის კონცეფციაზე დაყრდნობით „ზონგებს“ უწოდებს. მისი სიტყვებით, „მოქმედების მოულოდნელი შეჩერება-შესვენებანი კოლიზიების ღრმად გააზრების საშუალებას იძლევიან, და გარკვეულწილად მათგან გაუცხოვების ეფექტს ქმნიან“ (ვართანოვი 1985, 46). ინტერმედიურ კომენტარებს – ქოროს სიმღერას, კინოფილმში დრო-სივრცითი ზღვრის, ნახტომის ფუნქცია აქვს, ისინი წინასწარმეტყველებენ მოსალოდნელ ხდომილებებს ან უკვე მომხდარს განსჯიან, მაგალითად, ევასა და გიორგის ქორწილს, ნაცვლად ლზინის სიმღერისა, თან ერთვის კომენტარი: „საგონებლისა სახლ მიდგა, / ჯავრისა კარი მიბია, / წინ მიდგას ცრემლის ლოგინი, / ზედ ნარიდ ეკალ მიგია, / შიგ მიდგას სუფრა სევდისა, / ზედ ნაულელი მიძია“ ...; სპირიდონა გი-

28 ფილმში ხალხურ მოტივებზე შექმნილი სიმღერების ავტორი და შემსრულებელი მანანა მენაბდეა.

29 ლოლობერიძე მემუარებში წერს: „(...) მინდა, რომ იყოს კიდევ ერთი პოზიცია, პოზიცია ღმერთის, თუ ავტორის, რომელმაც ყველაფერი იცის წინასწარ და, რაც მთავარია, იცის, რომ არის ჟამი სიცოცხლისა და სიკვდილისა, ჟამი სიყვარულისა და ჟამი სიძულვილისა (...) ამ ფუნქციას ჩვენთან შეასრულებენ მოხეტიალე მსახიობები (...)“ (ლოლობერიძე 2019, 369).



ორგის მკვლელობის შემდეგ „წითელ გველთან“ იგივედება და ამასთან, მინიშნებულია მისი სურვილი ევას ცოლად შერთვისა: „მინდოდა რო სისხლის ტბა ბრუნავს, / გადასაგდება სად არის, / შიგა წევს გველი წითელი, / თავსა სძრავს ბოლო სად არის, / ბევრსა ჰკლავს ბევრის სურვილი, / მაგრამ გაგება სად არის...“; ევას მიერ საროსკიპოდან დარეჯანის წამოყვანისას, იმ იმედით, რომ მას იშვილებს და დედობის ბედნიერებას შეიგრძნობს, კომენტარად ბერიკების სიმღერა გასდევს: „საბრალო აირა,<sup>30</sup> / ხმა დამთვრალო აირა, / მაისობ, ისარს ისობ, / ის გიხარის, ვაი, რა!“ ამრიგად, მაყურებელს წინასწარ ეცნობება პროტაგონისტის ცხოვრების მთავარი კონფლიქტისა და შედეგის შესახებ – ევას ბედნიერი ცხოვრება არ უწერია.

აღსანიშნავია, რომ ინტერმედიური კომენტარი სამიზნე მედიუმის სპეციფიკური მახასიათებლების, სემიოტიკური სისტემის, გათვალისწინებით, მხატვრულ ტექსტშიც ჩნდება. რომანში ამ ფუნქციას „ვეფხისტყაოსნიდან“<sup>31</sup> ეპიგრაფებად გამოტანილი სტროფები ასრულებს. ჟერარ ჟენეტმა (Gérard Genette), ლიტერატურის ფრანგმა თეორეტიკოსმა, ეპიგრაფის ოთხი ფუნქცია გამოყო, რომელთაგანაც ერთ-ერთში, ე.წ. „კანონიკურ“ ფუნქციაში, ტექსტის კომენტარი იგულისხმება, ე.ი. ეპიგრაფი შესაძლოა მკითხველს ყურადღებას უმახვილებდეს ტექსტის მთავარ შეტყობინებაზე (Genette 1997, 157-158). რაკი „ვა, სოფელოში“ დასათაურებული თავები (ორ გამონაკლისს თუ არ ჩავთვლით, მათ შემთხვევაშიც მხოლოდ დროა მითითებული: 1905 წლის თებერვალი, 1930 წლის აგვისტო) არ გვხვდება და ეპიზოდები დამოუკიდებელი აბზაცებით გამოიყოფა, ავტორის მიერ შერჩეული ეპიგრაფები წინასწარ ამზადებს მკითხველს და წინასწარმეტყველებს მოსალოდნელ ხდომილებებს. მომდევნო სტროფი – „ვა, საწუთროო სიცრუვით / თავი სატანას ადარე“ წინ უძღვის „სისხლიანი ქორწილის“ მონაკვეთს, „საწუთრო“ – წუთისოფლის ერთგვარი შეფასებაა, იგი რომანში იმ შემადრწუნებელი უსამართლობის გადმოცემას უსწრებს წინ, რომელიც თელავში 1924 წელს უდანაშაულო ადამიანთა დახვრეგით დატრიალდა; „ქაჯნი სახელად მათ ჰქვიათ, არიან ერთად კრებულნი... / ყოველთა კაცთა მავნენი, იგი ვერვისგან ვნებულნი“ – ამ სიტყვებით „ვა, სოფელოში“ ჩეკა და ჩეკისტები აღიწერებიან, ეს რომანის ის მონაკვეთია, რომელშიც ჩეკას მუშაობის წესი (დასმენა, გადაბირება, დაშინება, წამება და სხვ.) ახლო პერსპექტივით გადმოიცემა, ისინი „ვერვისგან ვნებულნი“ არიან, რაკი ჯერ მათი „საზღაურის“ დრო არ დამდგარა; „მზე აღარ მზეობს ჩვენთანა, დარი არ

30 ლექსი ეკუთვნის ბესარიონ გაბაშვილს.

31 „ვეფხისტყაოსანს“ დაესესხა ავტორი ასევე რომანის სათაურს, „ვა, სოფელო...“ – ციტატა ავთანდილის ანდერძიდან.

დარობს დარულად“ – საბჭოთა კავშირში 1937 წლის რეპრესიათა და-საწყისია მინიშნებული.

მედიათა ტრანსფერის შედეგად, ცხრამეტწლიან შუალედში, იც-ვლება სტალინის სახის რეპრეზენტაციაც – ფილმში სტალინის სა-ხელი მხოლოდ „სცენა-კომენტარში“ (ვართანოვი 1985, 46) გაიჟღე-რებს, ეს მუსიკალური ნომერი კოლექტივიზაციას ეძღვნება: „ცაზე მთვარე ამოსულა (...) ნიშანია დარისაო (...) /კოლექტივი გაძლიერდა, ვენაცვალე სტალინსაო“. სიმღერის ფონზე იშლება პლაკატი: „ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს!“ მთლიანობაში, აღნიშნულ სცენას გროტესკული ელფერი დაჰკრავს: ურემზე ჩამომჯდარი მოხეტიალე მსახიობი უმღე-რის კოლექტივიზაციას და მადლობას უხდის ბელადს, მაშინ როდესაც მუსიკალურ ჩანართს ეკრანზე გლეხების მიერ კოლექტივიზაციის წი-ნააღმდეგ მიმართული კონფლიქტი ანაცვლებს. რაც შეეხება რომანს, მიუხედავად იმისა, რომ სტალინი მოქმედ პირად წარმოდგენილი არ არის, მასთან დაკავშირებით ურთიერთგამომრიცხავი ნარატივი იჩენს თავს: სტალინი როგორც ხალხთა მზრუნველი მამა, „ბრძენთაბრძენი“ ბელადი და სტალინი როგორც ყოველგვარი ბოროტების წყარო, „სულთამხდელი“. პირველ შემთხვევაში, ოფიციალური პროპაგანდის ქვეშ მყოფი საზოგადოების ცალკეული წევრების მიერ გამოითქმის გულუბრყვილო შეხედულება სტალინის არასაკმარისად ინფორმირე-ბულობის შესახებ: „განა იმან (სტალინმა – ნ.ბ.) რომ იცოდეს, ეგრე გაგვწირავდა?“ (იქვე, 331). ასევე, იდეოლოგიური მანქანის მუშაო-ბის გავლენას მცირე ასაკში განიცდის მთხრობელიც – მას საბავშვო ბაღში სტალინის განმადიდებელ ლექსებს ასწავლიან, ოჯახში კი ბე-ლადის სიყვარულს ბებიის პოზიცია უპირისპირდება: „შენ ხომ აქედა-ნვე უნდა იცოდე ვინ ვინ არის“ (იქვე, 333).

იდეოლოგიური ემანსიპაციის შემთხვევას ადასტურებს ასევე რომანში სტალინის კომიკური სახით გამოსახვა, ცენზურის წნეხიდან გათავისუფლებით სამიზნე მედიაში ტირანის გაშარყების შესაძლებ-ლობა იხსნება და სისტემის მიერ დაჩაგრული ადამიანების ხელში სიცილი შურისძიების იარაღად იქცევა. სტალინის ამგვარი რეპრეზე-ნტაცია ტექსტში მთხრობლის წარმოსახვასა და ბებიის სიზმარს უკავ-შირდება, როგორც ქეთევან ქათამაძე აღნიშნავს, იქმნება „რეალობის ალტერნატიული სამყარო, სადაც სამართლიანობა იმარჯვებს და ბო-როტება ისჯება“ (ქათამაძე 2022, 90). რუსიკო დროდადრო წარმოი-დგენს, რომ ბებიის მიერ სისასტიკეში მხილებული სტალინი შეძრწუ-ნდება თავისივე ნამოქმედართ და კრემლის გარემოცვასთან ერთად გამათრახებას მოითხოვს. ამავე სცენაში მთხრობელი წარმოიდგენს შერცხვენილ სტალინს „ალაგ-ალაგ გადაქლეშილი უკანალით“ (არ-

სენიშვილი 2019, 340). რუსუდანის სიზმარში კი, „ყველაზე დიდ კაცს“ „ზინზლისა და წეგოს სუნი“ (იქვე, 343-344) ასდის, გზააბნეული, იგი ქალს სწორი მიმართულების საკითხავად შეაჩერებს, მთხრობლის ბეზია კი, ისე რომ ბელადს მისთვის ამის შესახებ არც უკითხავს, აბანოს გზას მიაწვდის. ამრიგად, სტალინის სახის მედიური ტრანსპოზიციის შედეგად ამოსავალ მედიაში დასახული ავტორიტეტი ბელადისა ქარწყლდება სამიზნე მედიაში მისი უმწეობის გამოხატვით.

### სინტაქსური ნარატემები ფილმსა და რომანში

კულტურის მკვლევრის, იური ლოტმანის სივრცობრივი სემანტიკის თეორიაში მხატვრული ტექსტი რევერსულ ტექსტად მიიჩნევა (ინგლ. reversibility), თუ მოქმედი პირის მიერ აკრძალული სემანტიკური ზღვრის გადაკვეთის ცდა წარუმატებელია ან გადაკვეთის შემდეგ იგი უკან ბრუნდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ზღვრის გადალახვა წარმატებულად მაინც ვერ ჩაითვლება (Lotman 1977, 238-239). ლოტმანის თეორიაზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ ფილმი რევერსულია, ე.ი. გიორგის მიერ საზღვრის გადალახვა სრულად ვერ განხორციელდა, იგი უკან დაბრუნდა და ამრიგად, მხატვრული სამყაროს თავდაპირველი წესრიგი აღდგა (კინოსურათის ბოლო სცენაში ევა და გიორგი დაცარიელებულ სოფელში კვლავ მარტო საქმიანობენ). კინოფილმში დასაწყისში ნაჩვენები ჰარმონია შენარჩუნებულია იმდენად, რამდენადაც გიორგიმ სოფელში დაბრუნებით სასიკვდილოდ გადადებული ევა თავისი ხმით გამოაცოცხლა. ამ შემთხვევით მაყურებლის თვალწინ, ფაქტობრივად, ბიბლიური მკვდრეთით აღდგინების სცენა გათამაშდა. თავის მხრივ, ეს ეპიზოდი ეხმიანება ფილმის ტელეოლოგიას: ევა თავის ეგზისტენციალურ მიზანს აღწევს – იგი ახერხებს, გადასცეს ადამიანურობა თავის შვილიშვილს. ამრიგად, კინოსურათში მარცხდება რევოლუცია და იმარჯვებს ჰუმანიზმი: ადამიანურობის შენარჩუნება არა იდეოლოგიას, არამედ მხოლოდ ადამიანებს შეუძლიათ.

რევოლუცია მარცხდება რომანშიც და აღდგება სამართლიანობა, რაკი მხატვრულ სამყაროში მოქმედი საზღაურის მორალი, დროში მისი განფენილობის მიუხედავად, ბოროტებას უპასუხოდ არ ტოვებს. სამი პროტაგონისტი ქალის ტანჯვის საპირწონედ (მათი ცხოვრების „გამრუდება“ ცალსახად რევოლუციამ განაპირობა) ისჯება სამივე ანტაგონისტი მამაკაცი, რომლებიც სხვადასხვაგვარად რევოლუციასთან არიან დაკავშირებული. ამრიგად, რომანში ბოროტება ისჯება, თუმცა პასუხის მიგებას შურისძიების ფორმა არასოდეს არ აქვს: რევოლუციის სახელით თავს დამტყდარი უბედურება ქალ მოქმედ პირებს არ აბოროტებს. მანკიერი საბჭოთა ექსპერიმენტი, ადამიანებს ჰუმანურობას ვერ ართმევს.

## დასკვნა

ამოსავალი – „დღეს ღამე უთენებია“ – და სამიზნე – „ვა, სოფელო“ – მედიების ინტერმედიური ანალიზის საფუძველზე გაირკვა, რომ რომანიზაცია შუალედური ადაპტაციის ნიშნებს ავლენს. მედიური ტრანსპოზიციის შედეგად იდეოლოგიური ემანსიპაციის პირობებში არ შეცვლილა მთავარი შეტყობინება – პოსტსაბჭოთა რომანშიც რევოლუცია, იდეოლოგია ტრავმასთან გაიგივდა. ორივე მედიაპტროდუქტში კონფლიქტის წყარო კვლავ საბჭოთა რევოლუციაა, მთავარი საკითხი კი – წარსულზე განსჯა. ცხრამეტწლიან მონაკვეთში იდეოლოგიური ცენზურის გაუქმებამ, შესაძლებელი გახადა კინოფილმში სიმბოლურ-ალეგორიულად მინიშნებული კრიტიკის (საბჭოთა რევოლუციის შედეგები, უდანაშაულო მსხვერპლი, რეპრესიები, ძველი და ახალი წყობის შეჯახება) ღიად არტიკულაცია. „დღეს ღამე უთენებიაში“ გამოთქმული სკეფსისი რევოლუციის შესახებ – ვის საკეთილდღეოდ მოხდა რევოლუცია, თუ იგი გლახთა ცხოვრებაზე მხოლოდ მიძიმედ აისახა? – ფარულია და ქალის პირადი დრამის საბურველში იმალება (სასიყვარულო სამკუთხედები: ევა, გიორგი და სპირიდონა; ევა, სპირიდონა და არჩილი), „ვა, სოფელოში“ კი დამატებულ პერსონაჟთა ჩართვით რეპრესირებულთა ხმა ისმის. რომანში ჩაგრული ფენის კომუნიკაციური მესხიერება წინააღმდეგობრივ ძალად, კულტურული მესხიერების მედიად გარდაიქმნება, რაც ტექსტს მესხიერების რომანად აქცევს. კინოსურათში გიორგის უკან დაბრუნებით მარცხდება რევოლუცია, რაკი ბებუის მიერ მისთვის გადაცემული ჰუმანიზმი უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე რევოლუციის შედეგად მიღწეული ინდუსტრიული პროგრესი ქალაქად. რევოლუცია მარცხდება რომანშიც და „საზღაურის“ პრინციპით აღდგება სამართლიანობა (სამი პროტაგონისტი ქალისა და სამი ანტაგონისტი მამაკაცის ბედის შეპირისპირება). „ახალი დროება“ თვითდესტრუქციულ ძალად გვევლინება და ამრიგად, ბოროტების მარცხი გარდაუვალია.

## დამოწმებანი

არსენიშვილი, ზაირა. 2000. „ჩემი ვიოლინო გავაჩუქე“ ინტერვიუერი ლია კაკაბაძე. საქართველოს ქალი 3-4: 8-9.

არსენიშვილი, ზაირა. 2011. „ზაირა არსენიშვილის ზეპირი ისტორია“ ინტერვიუერი ნინო ბექიშვილი. 12.03. 1:01:28. პროექტი „ვირტუალური პლატფორმა“, საბჭოთა წარსულის გააზრება. Sovlab. [www.youtube.com/watch?v=EcIpEBSzVTk](http://www.youtube.com/watch?v=EcIpEBSzVTk) (ნანახია 15.07.2024).

- არსენიშვილი, ზაირა. 2014. გადაცემა „პაემანი მუზათან“ ავტორი და წამყვანი ია მახათელაშვილი. ტელეკომპანია „თანამგზავრი“. 21.03. 1:11:29. [www.youtube.com/watch?v=rT7CuwsBQZ8](http://www.youtube.com/watch?v=rT7CuwsBQZ8) (ნანახია 15.07.2024).
- არსენიშვილი, ზაირა. 2019. *ვა, სოფელო...: კახური ქრონიკები*. თბილისი: სულაკაურის გამომცემლობა.
- ბექიშვილი ნინო და ნინო ლეჟავა, რედ-ები. 2012. *საბჭოთა კავშირის გააზრება: დისკუსიები 2011*. თბილისი: საბჭოთა კავშირის კვლევის ლაბორატორია.
- ბექიშვილი, ნინო, გიორგი კეკელიძე და ლაშა ბაქრაძე. 2012. ქართული მწერლობა საბჭოთა სისტემაში: რეალობის განზომილება. *კრებულში ბექიშვილი 2012*, 6-12.
- გვახარია, გოგი, მერაბ კოკოჩაშვილი და ლია ჯაყელი. 2012. ეზოპეს ენა ტოტალიტარულ სისტემაში: ქართული კინოს წარმატებები და ცენზურა საბჭოთა ხანაში. *კრებულში ბექიშვილი 2012*, 30-44.
- გვახარია, გიორგი. 1985. დღევანდელი დღე და მარადიული სიცოცხლე. *საბჭოთა ხელოვნება* 7: 41-54.
- გვახარია, გოგი. 2021. *ცენზურა კინოში*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- ვართანოვი, ანრი. 1985. დღე და ღამე. *საბჭოთა ხელოვნება* 6: 40-48.
- კონტრიძე, ეკა. 2022. ნუცა ლოლობერიძე – დაკარგული წლები და სცენარები. *კრებულში ხელოვნებისა და მედიის კვლევების საერთაშორისო კრებული*, რედ. მარიამ იაშვილი, 140-153. თბილისი: საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- რატინი, ირმა, რედ. 2010. ზაირა არსენიშვილი. წიგნში *ანტისაბჭოური სიტყვიერება: ზეპირი ისტორიები, გადმოცემები 1921-1991*, 228-231. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. თბილისი: ნეკერი.
- ქათამაძე, ქეთევან. 2022. სტალინის სახის რეპრეზენტაცია პერსონაჟთა სიზმრებში ზაირა არსენიშვილის პროზის მიხედვით. *კადმოსი* 14: 69-122.
- ლოლობერიძე, ლანა. 1984. ინტერვიუერი ლეილა კვირიკაშვილი, *საბჭოთა აჭარა*, 21.07.
- ლოლობერიძე, ლანა. 2019. *რაც მაგონდება და როგორც მაგონდება*. თბილისი: სულაკაურის გამომცემლობა.
- ლოლობერიძე, ლანა. 2020. გადაცემა „სქოლიო“ ავტორი და წამყვანი დავით გაბუნია. ტელეკომპანია Artareatv, 28.10. 55:13. [www.youtube.com/watch?v=ZuGhoIlabOc](http://www.youtube.com/watch?v=ZuGhoIlabOc) (ნანახია 15.07.2024).

- ლოლობერიძე, ლანა. 2023. *დედა-შვილი ან ღამე არ არის არასოდეს ბოლომდე ბნელი*. თბილისი: გამომცემლობა „სეზან პაბლიშინგი“.
- ცაგარელი, ლევან. 2017. *ლიტერატურის შედარებითი კვლევის პრინციპები*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. [გამოუქვეყნებელი სკრიპტი].
- Assmann, Jan. 2008. Communicative and Cultural Memory. In *Cultural Memory Studies: An International and Interdisciplinary Handbook*, eds. Astrid Erll and Ansgar Nünning, 109-118. Berlin: Walter de Gruyter.
- Bruhn, Jorgen and Beate Schirrmacher, eds. 2022. *Intermedial Studies: An Introduction to Meaning Across Media*. Abingdon: Routledge.
- Caruth, Cathy. 1996. *Unclaimed Experience: Trauma, Narrative, and History*. Baltimore: John Hopkins University Press.
- Constantinescu, Catalin. 2015. Intermedialität and Literature. What is Filmic Rewriting? *Philologica Jassyensia*, An XI, N1 (21): 165-174.
- Corrigan, Timothy. 2017. Defining Adaptation. In *The Oxford Handbook of Adaptation Studies*, ed. Thomas Leitch, 23-35. New York: Oxford University Press.
- Desmond, John and M. Peter Hawkes. 2006. *Adaptation: Studying Film and Literature*. Boston: McGraw Hill.
- Genette, Gérard. 1997. *Paratexts: Thresholds of Interpretation*, trans. Jane E. Lewin. Cambridge: Cambridge University Press.
- Hutcheon, Linda and Siobhan O'Flynn. 2013. *A Theory of Adaptation*. London: Routledge.
- Larson, Randall D. 1995. *Films into Books: An Analytical Bibliography of Film Novelizations, Movie, and TV Tie-Ins*. Lanham: The Scarecrow Press.
- Lotman, Jurij. 1977. *The Structure of the Artistic Text*. Michigan: The University of Michigan Press.
- Nora, Pierre. 1989. Between Memory and History: Les Lieux de Mémoire. *Representations. Special Issue: Memory and Counter-Memory* 26: 7-24.
- Nora, Pierre. 1998. *Realms of Memory: the Construction of the French Past*. New York: Columbia University Press.
- Ottomeyer, Hans. 2004. Vorwort. Im *Mythen der Nationen. 1945 – Arena der Erinnerungen*, Hg. Monika Flacke, vol. 1, 5-6. Berlin: Deutsches Historisches Museum.
- Petho, Agnes. 2010. Intermediality in Film: A Historiography of Methodologies. In *Antal* 2010: 39-72.
- Rajewski, Irina O. 2005. Intermediality, Intertextuality, and Remediation: A Literary Perspective on Intermediality. *Intermediality History and Theory of the Arts, Literature and Technologies* 6: 43-64.

- Van Parys, Thomas. 2011. The Study of Novelisation: A Typology and Secondary Bibliography. *Belphegor: Littérature Populaire et Culture*, vol. 10, no. 2.
- Wolf, Werner. 2002. Intermediality Revisited: Reflections on Word and Music Relations in the Context of a General Typology of Intermediality. In *Word and Music Studies. Essays in Honor of Steven Paul Scher and on Cultural Identity and the Musical Stage*, eds Suzanne M. Lodato, Suzanne Aspden and Walter Bernhart, vol. 4, 13-34. Boston: Brill.
- Wolf, Werner. 2004. Cross the Border – Close that Gap: Towards an Intermedial Narratology. *European Journal of English Studies* 8 (1): 81-103.
- Wolf, Werner. 2018. *Selected Essays on Intermediality by Werner Wolf (1992-2014): Theory and Typology, Literature-Music Relations, Transmedial Narratology, Miscellaneous Transmedial Phenomena*, ed. Walter Bernhart. Leiden: Brill Rodopi.

**Nino Bokuchava**  
Ilia State University, Georgia  
Nino\_bokuchava@iliauni.edu.ge  
DOI: 10.32859/kadmos/16/28-84

**From Soviet Film to Post-Soviet Novel:  
Zaira Arsenishvili's *Woe is Life: Kakhetian Chronicles*  
As a Case of Ideological Emancipation\***

Keywords: *Intermedial transposition, novelization, adaptation, Soviet cinematography, post-Soviet Georgian literature*

**From the Film to the Novel**

Collaboration between Lana Gogoberidze, Georgian film director, and Zaira Arsenishvili, Georgian writer, scriptwriter and musician, resulted in a number of films from 1972<sup>1</sup> until the death of Arsenishvili in 2015, seeing Arsenishvili appearing as co-author of each of Lana Gogoberidze's film scripts. Particularly notable is the novel *Woe is Life – Kakhetian Chronicles*<sup>2</sup> by Zaira Arsenishvili, created on the basis of their common work, the 1983 film *The Day is Longer Than Night*, the latter being a case of reverse adaptation. It is a novelization, and is a special case in Georgian art. Unlike the classical scheme of adaptation, where a novel is adapted into a film (Constantinescu 2015, 172; Corrigan 2017, 28), in case of novelization, the fictional text is created on the basis of the film – i.e. the recipient faces a “novelized” version of the film (Van Parys 2011). The film, under Lana Gogoberidze's directorship, premiered in the Soviet Union, while Zaira Arsenishvili's novel was published for the first time in 2002, in independent Georgia<sup>3</sup>. This article attempts to study this case

\* Research was conducted with the support of the Shota Rustaveli Georgian National Fund: FR-22-793.

1 Their first joint work was the 1972 film *When Almonds Bloomed*.

2 Hereinafter, the shortened title of the novel *Woe is Life* will be used.

3 The editor and publisher of this edition of the novel is Givi Kikalishvili.



based on intermediality theory<sup>4</sup>, in particular, presenting the idea that the work demonstrates the transformation of representation (presence and then absence) of Soviet sociopolitical issues and ideological pressure, from the film to the novel.

A special feature of intermediality theory, as an interdisciplinary area (Petho 2010, 40), is that it allows identification of the original media, the “contents of which were selected, missed or added” (Tsagareli 2017, 121) or changed and developed (Bruhn and Schirrmacher 2022, 141-142) in the target media. Irina Rajewsky, together with Werner Wolf, is regarded as the founder of intermediality theory. Rajewsky is the author of “three-end typology”, where each category is associated with a specific characteristic of intermediality: medial transposition, media combination and intermedial reference. Of them, most suitable for this research is the category of medial transposition, examples of which are the film adaptation of fictional texts and novelized versions of films. In this case, the characteristics of intermediality appear in the process of creating a new media product, in particular, the initial media product being transformed into the target media product. This sub-category, oriented towards production, is the “genetic” conception of intermediality – the initial (original) text, film, etc., is the source of a newly created media product, formed in accordance with the specific characteristics of the target medium, i.e. intermedial transformation (Rajewsky 2005, 51).

In his typology, Werner Wolf distinguishes two key forms of intermediality: intracompositional intermediality, taking place within one media product, and extracompositional intermediality, going beyond the scopes of a single media product. In this case, the category relevant for the research – intermedial transposition – belongs to the category of extracompositional intermediality. The latter implies transfer of the contents from one medium (source) to another (target). In this process, genetic interrelation between these media emerges, although the final media product is an independent art work, i.e., it is impossible to refer to the involved media separately from one another, as the result of their combination is a homogenous semiotic system. Widespread examples of this case include film adaptation of artworks, and, vice versa, novelized versions of films (Wolf 2002, 19-20; Wolf 2018, 244).

The first novelized versions of films (so called “movie tie-ins”) appeared almost at the same time as cinema, in the 1920-30s, seeing the novelized materials of US silent movies published and named “photoplay editions” (Larson 1995, 3-4). From the 1960s, the demand for Hollywood paperback novelizations increased, and achieved commercial success (ibid. 1995). The key feature

---

4 The article is based on the 104-minute version of the film.

of novelization is that, since it is rooted in the narrative, it enables the reader to engage with a particular scene in a way that goes beyond the actor's performance or technique. For the author, novelization serves as a tool to capture what cannot be conveyed through the camera, offering a deeper narrative context by exploring a character's motivations or inner thoughts during dialogue (Larson 1995, 15; Hutcheon and O'Flynn 2013, 118). The contemporary cinema industry regards novelizations of films as part of its marketing strategy, intended to attract attention and increase income. Novelization is used in merchandising, accompanying the films alongside toys, comic books, DVDs and soundtrack releases (Larson 1995, 12; Van Parys 2011).

While novelization, as a form of narration, is, in the global context, used for gaining commercial revenue, in the Georgian reality, the analysis of both film production and novel publication demonstrates to us the severe impact of Soviet censorship, the "history of consciousness control" (Gvakharia 2021, 274). The interpretation of the art of both Lana Gogoberidze and Zaira Arsenishvili cannot be imagined independently of their biographies. The Soviet repressions of 1937 greatly influenced the lives of the director and writer, and Soviet censorship impacted their reflection of their traumatic experiences in cinematography and literature.

Lana Gogoberidze's father, Levan Gogoberidze, was a Bolshevik and revolutionary of the first generation, occupying high positions in the party through different periods. He was executed in 1937, and Nutsa Khutsishvili-Gogoberidze<sup>5</sup>, his spouse, the first Georgian woman film director, was arrested as a "family member of an enemy of the people" (Gogoberidze 2023, 15). She was sent to the Potma concentration camp for women for 10 years, and later to Vorkuta concentration camp for women (CHSIR - "член семьи изменника родины" in Russian) (Kontridze 2022, 146). In 2020, in an interview, Lana Gogoberidze summarized her art as follows:

There is a view that all artists originate from the trauma experienced in childhood. I can say that this is the truth, and my example is confirmation of this. I can see this only now- when I made the films, I didn't even think about it... that this was such a powerful trauma in my life... When I was seven, I lost my mother for ten years, and when I met her [again], I met a stranger [...] this was a very difficult process. (Gogoberidze 2020)

The cinematographic translation of this personal trauma – seeing one's mother, returned from exile, as a stranger – is shown in her 1978 film *Some In-*

5 She made three films before being exiled.

*terviews on Personal Matters*.<sup>6</sup> Goskino, the main body of the Soviet censorship functioning in Moscow, demanded that the director withdraw the “mother returning” scene<sup>7</sup>, as it was deemed unacceptable to make the Soviet repressions, in this case exile, the motif of the film (Gogoberidze 2019, 350-351). Later, in independent Georgia, in her 1992 film *Waltz on the Petschora*, the director returned to the story of a mother’s exile. In it, Gogoberidze relies on the stories written by the director’s mother after returning from her own exile. Nutsa Gogoberidze-Khutsishvili named them “documentary-fictional stories”.

Similar to Gogoberidze’s<sup>8</sup> art, where the director introduces the image of the repressed mother, Zaira Arsenishvili made her father, Ivane (Vano) Arsenishvili, the tragic character of *Woe is Life* – as he too was repressed in 1937. Vano Arsenishvili was a planning economist in Telavi’s Executive Committee, and never held a high party position. In December 1937, for an absurd reason, on the basis of a denunciation, he was arrested, and was executed within two months. The family learned about this only later, after his name was cleared (Ratiani 2010, 229; Arsenishvili 2011; Arsenishvili 2014). At that time, the writer was six years old, although the traumatic memory of the event followed her throughout her life: “The suffering I experienced for my father in early childhood is with me even today” (Arsenishvili 2000, 8).

Zaira Arsenishvili was widely renowned as a screenwriter and musician, but less so as a writer. While she wrote the novels *Woe is Life*, *Requiem for Base*, *Soprano and Seven Instruments*, or *Portrait of a Young Storyteller*<sup>9</sup> in the 1960s<sup>10</sup>, active appreciation of Arsenishvili’s art only truly came about in the

6 It is notable that in the film, the role of the mother returning from exile is played by Ketevan Orakhelashvili, the widow of Georgian conductor Evgeni Mikeladze, who was repressed in 1937. Orakhelashvili’s parents, party officials Mamia and Mariam Orakhelashvili, were executed that same year, and she, as “a family member of the enemy of people,” was sentenced to exile. For a certain period, Lana Gogoberidze’s mother and Ketevan Orakhelashvili were in the same camp, and for this reason the director asked Orakhelashvili to take on the mother’s role in her film, although she had never been in a film before and had no special training (Gogoberidze 2019, 345).

7 Finally, the fate of the film was determined by Eduard Shevardnadze’s direct intervention through a call from him to the chairperson of Goskino, Filip Ermashev. As Gogoberidze recalls in her memoirs *What I Recall and The Way I Recall It*, the film was approved in full. It should be noted that this is the only case in which Eduard Shevardnadze helped the director with a film production.

8 The director’s last work, the 2023 documentary *Mother and Daughter, or the Night Is Never Complete* is also dedicated to her mother and relations with her mother.

9 Hereafter, the short title of the novel *Requiem* will be used.

10 At a series of discussions arranged by the Heinrich Böll Foundation *Rethinking the Soviet Union*, the speaker said: “in the period of *Perestroika*, when Russian press was flooded with so called “illegal” literature, the Georgians could discover almost nothing. (...) From the 1930s in Georgia, there was no high-quality literature. Shota Chantladze and Niko Samadashvili

21<sup>st</sup> century. It could be said that she created “alternative literature” for the shelf, hoping that the opportunity for their publication would appear. In the 1960s<sup>11</sup> and late 1980s, in the *Perestroika* period, Arsenishvili attempted to deliver her messages to readers, but local periodicals refused to publish her texts. And again, not even in the period of *Glasnost*. As she said, “I did not hope; I knew that they would not publish it” (Arsenishvili 2011).

A complete version of the novel *Woe is Life* was first published in 2002<sup>12</sup>, 19 years after the film came out<sup>13</sup>. The second edition was published with a smaller number of copies in 2011. Neither was followed with any significant response.

To comprehend the past, a certain amount of time should pass as a necessary prerequisite (Ottomeyer 2004, 5-6). Evidently, Zaira Arsenishvili's case confirms this view: discovery of the writer's art came thanks to the Bakur Sulakauri publishing house, where the novel *Woe is Life* was published in 2019. Shortly after, the novel was at the top of bestsellers list. While the success can be associated with the high creative value of the novel, the proper marketing strategy of the publisher should also be taken into consideration. The publisher managed to focus society's attention on Zaira Arsenishvili and her work. Publication of this novel was clearly seen as a success by the publisher, as, in the following years, they went on to publish the complete collection of Zaira Arsenishvili's work. The reader's interest in the novels and stories of this writer,

---

are the exceptions” (Bekishvili and Kekelidze 2012, 16). These words were followed by Zaira Arsenishvili's protest: “(...) I must dispute that they did not publish anything: I myself wrote two novels and short stories against this system. (...) In it (*Woe is Life* – N.B.), there are the events of 1924, collectivization, and 1937 (Bekishvili and Kekelidze 2012, 23).

- 11 In the 1960s, Arsenishvili published in the literary periodical an excerpt from *Woe is Life*, where Eva took little Rusiko to the forest to pick mushrooms. The editors suggested the author remove the word “ravaged” from the sentence – “Grandmother Eva sheltered us, the ravaged”. The author categorically refused to do so. Thus, this excerpt was rejected by the censors. Later, the same publisher did not even consider her episode about the 1905 revolution from the novel. It is notable that after almost three decades, in 1988, the writer made one more attempt to publish, this time the episode describing the opening of the memorial in Soghanlughu from *Requiem*. She was again rejected (Arsenishvili 2011).
- 12 The following year, *Woe is Life* was nominated for the newly established literary award *Saba* (2003) in the category of Best Novel, although Aka Morchiladze's book *Your Adventure* won. The decision of the jury led to the impression that Georgian society was ready for literary reflections about the Soviet past only in the light of entertainment. The Shota Rustaveli state award awarded Arsenishvili's first novel *Requiem*, in 1998, yet it again failed to catch the public's attention.
- 13 Ironically, in the 19-year interval between the film coming out, in 1983, and first publication of the novel, in 2002, the position of the state leader of Georgia was occupied by Eduard Shevardnadze. In the Soviet period, he was the First Secretary of the Central Committee of Communist Party of the Georgian SSR, and in independent Georgia, he was the president.

whose conceptual frame includes consideration of the Soviet past, shows that in the 2020s, Georgian society finally finds itself ready to think about its painful history.

The history of the film production and the relationship between art and censorship is notable, and the abovementioned case demonstrates a common occurrence. Work on the film was supposed to commence in 1980, following approval of the script by Goskino in Moscow. Yet the censors said to Gogoberidze: “According to your script, one could conclude that everything that has occurred is in vain – revolution, collectivization and, generally, the whole fight for a better life. The result is an abandoned village and the eternal loneliness of the individual” (Gogoberidze 2019, 366). They did not request that the director make corrections, but instead unambiguously refused to fund the film. Everything would have come to an end at the scripting stage if not for Eduard Shevardnadze’s good will<sup>14</sup>. At the time, he held the position of First Secretary of the Central Committee of the Communist Party of the Georgian SSR and, in addition, was the Candidate to the Political Bureau. This gave him greater power, particularly when it came to Goskino. Shevardnadze read the script and advised Gogoberidze to make some corrections to please the censors, and to ensure the film crew was ready for the compromises (Gogoberidze 2019, 367). After acquiescence, the film protagonist Eva, unlike the script version<sup>15</sup>, did not die in loneliness – the scene turns out to be played out in a way, and she is instead awoken by her grandson, who has returned from the city. This was the payment the director had to make – that the film had no pessimistic end. Many years later, the director stated in an interview, “I don’t know even now whether it would have been better for her to have died” (Gogoberidze 2020). In the end, the film was rejected for domestic release and instead was used by the system as a “film for export”. *The Day is Longer than Night* was included in the main competition program of the Cannes Film Festival, and although it was not awarded in any of the categories, the local press responded positively to it and the issuance of the film on Georgian screens: *Poetic Film (Communist*,

14 As, in this research, Shevardnadze was presented positively in Lana Gogoberidze’s fight against censorship, to avoid offering a misleading interpretation, the following should be mentioned: The widespread belief that, in the 1970s, Georgian cinema was free from censorship at the local level thanks to Eduard Shevardnadze, is not true. National censorship would act immediately, as soon as Shevardnadze’s career was threatened. At least two films can be named in this regard: Gela Kandelaki’s film *Disaster* (1979), and Merab Kokochashvili’s film *Three Days of a Hot Summer* of the same year, in the censorship of which Shevardnadze directly intervened (Gvakharia and Kokochashvili 2011, 34-35; Gvakharia 2021, 240-246).

15 This storyline was maintained in the novel, seeing Maka, one of the “hypostases” of Eva from the film, ending her life just as it is shown in the film – first, she decorates herself with Georgian national garments which she had for years kept in a chest especially for this day.

20 May 1984), *The Individual Triumphs Again* (Gogoberidze 1984), *Echo of the Festival of Cannes* (*Literary Georgia*, 17 August 1984), *New Film on the Screens* (*Tbilisi*, 31 December 1984).

### Transmedial Narratology as an Instrument for the Study of Novelization

Randall D. Larson, a US cinema researcher, distinguishes three forms of novelization: a) reissuing a novel: when the film is a screen adaptation of a novel, the reprint of the novel is published, with the book cover redesigned to feature an image from the film. If the film was issued with a different title, the new edition of the novel is issued with the same change; b) novelization of a screenplay: adapting the script into a novel (with unchanged content) and its publication, and; c) creation of a new, original novel, based on the film themes and setting (Larson 1995, 3).

Within the scopes of the approach developed in adaptation research, three types of adaptation are distinguished: a) so called “close” adaptation, b) loose adaptation and c) intermediate adaptation (Desmond and Hawkes 2006, 3).

Regarding these theoretical prerequisites, Zaira Arsenishvili's novel *Woe is Life* can be regarded as a novelization, implying the creation of a fictional text based on the film. In addition, as the same novel by Zaira Arsenishvili, in turn, is an adaptation, the latter should be defined as an intermediate adaptation.

To identify the contrasting and equivalent relations between the initial (*The Day is Longer than Night*) and target (*Woe is Life*) media, the article applies the transmedial narratology theory developed by Werner Wolf. The term “transmedial” means the phenomena that show up in the different media, i.e. their origination is not associated with any specific media (Wolf 2004, 82). Such assumption allows for an analysis of the narrative represented in different media, applying one and the same approach. Irrespective of the medium, the fictional narrative includes the set of “narratemes” – narratemes are “the intracompositional factors that render texts and artefact narratives and determine their degree of narrativity” (Wolf 2004, 87). The theorist distinguishes three groups of narratemes, in particular: a) general, qualitative narratemes, denoting time (that become apparent as a result of stories told), described worlds and the recipient's experience (related to the told story in an emotional and imaginal way); b) content narratemes<sup>16</sup> that include anthropomorphic characters within the action, occurrences (conflict) spread over time and space, and certain agents that, irrespective of their involvement in the fictional text, can be recognized as factual, and; c) syntactic narratemes, where dis-

16 Wolf calls them the “building blocks of narratives” (Wolf 2004, 88).

course shows up as a result of selection, combination and representation of the content narratemes.

Through production of the discourse (with processing of the content narratemes), the syntactic narratemes are related to the general narratemes and thus, with the Aristotelian unity of the beginning, middle and end, a thematic entirety is created. The syntactic narratemes are also associated the chronology and teleology – the latter includes the plans and goals of the character, as well as contradictions and difficulties that they experience. In addition, components of the syntactic narratemes are such structural elements as restoration of initial harmony, and justice existing in the text, and it is these that mostly determine the development of the storyline (Wolf 2004, 87-88).

### General Narratemes in the Film and Novel

Before considering the transmedial narratemes on the basis of comparison of the film and novel, key story-based differences in the studied objects should be identified: the text includes numerous characters, and a great many of them function as a kind of instrument in the author's hands, used to highlight various issues. The narrator of the novel is identified as Zaira Arsenishvili herself, as evidenced by the autobiographic elements she includes. In addition, the fictional text describes historical reality: the episode of the “bloody wedding” in 1924, criticism of Kakutsa Cholokashvili<sup>17</sup>, the fight against soviet occupation, the *pogrom* (massacre) of the noblemen in Kakheti, the repressions of 1937, the NEP and collectivization - these are explored much more deeply and painfully in the novel. The narrative of the Soviet regime's war against religion is also developed much more extensively. There are contrasting depictions related to the figure of the Leader, Stalin (who is only mentioned once in the film, in a song by wandering artists). The removal of censorship allows the author to present the full stories of the film's characters in the novel, offering a more nuanced interpretation. For instance, while the film portrays the young revolutionary Archil Abelishvili, with his Marxist ideals, in a positive light, the novel recounts how the system ultimately transformed him into a member of the NKVD *troika*, making him both an executioner and a victim during the Great Purge; and while the film highlights the issue of the emptying of high mountain villages, the novel completely neglects it.

In the diegesis of the source and target media products, events that have occurred before and after the Sovietization of Georgia are retrospectively pre-

---

17 Kaikhosro (Kakutsa) Cholokashvili is Georgia's national hero. He commanded an anti-Soviet guerrilla movement in Georgia in 1922-1924.

sented. In analyzing the time, as a general narrateme, both medias hint at the contemporariness of the recipients, their present. We can suppose that, in the film, the events develop up to the 1980s, while in the novel, the interrupted narration continues into the early 2000s. Russian-Soviet cinema researcher Anri Vartanov, in his 1985 article – *The Day and the Night* – mentioned that old Eva's life in the mountains is the time contemporary to them, the audience (Vartanov 1985, 42). In the novel, the time range of the narration can be identified from the following quotation: narrator Rusiko said about grandmother Rusudan, who died in 1962 – “more than four decades have passed since then [...]”<sup>18</sup> (Arsenishvili 2019, 653-655), with the latter date, to a certain extent, coinciding with the first publication of the novel in 2002. The authors' reference to the present, both in the film and the novel, and their focus on a contemporary audience, suggest an attempt to initiate a dialogue. This can be seen as a message: reflecting on and discussing the past is essential for overcoming it. Understanding the truth about the past is the only way to free contemporary society from its pain, and only then can it truly become history. The motif of understanding the past and dealing with it, its necessity, is openly confirmed in the novel through Eva's words: she said to little Rusiko, “[...] I tell you all this, my dear and beautiful one, because the first going man is a bridge for the following one, and maybe my story could be useful to you...” (ibid., 212).

As the film composition depicts the process of recollection, it has a specific time structure. This implies that the events that have already occurred in the protagonist's, Eva's, life, and thus are presented in a form of analepsis and prolepsis, i.e., the representation of the present of the elderly main character on the screen is regularly interrupted by episodes from the past. In addition, in Eva's recollection of her life depicting a woman's trauma, the history of Georgia is also presented to the audience. The time of the narrative is placed in a kind of dichotomy, creating the impression that the film depicts the collision of two periods or formations – the old (Georgia before Sovietization) and the new (post-revolution Georgia) – as the clash between two persons (the first and second husbands of Eva – Giorgi and Spiridona). The latter is also confirmed spatially: Eva's happy marriage with Giorgi in the mountains in the past, and Eva's purposeless life with Spiridona in an urban setting. In other words, the film presents a comparison of the “mythologized story” and “cinematographic reality” (Vartanov 1985, 42).

In *Woe is Life* as a result of intermedial transposition, there appear a great number of additional characters. The main storyline of the novel – the grandmother's describing of the past to her granddaughter (Rusudan and Rusiko)

18 All translations are the author's, unless otherwise referenced.



on the night of Eva's death – unifies the different stories through additional characters. The long, fragmented narration of the two women – of the old and young generations – spread over time, beginning before the Sovietization of Georgia, is nothing but the process of recollection. The novel retains Eva's screen adventure, where the history and fate of Georgia are explored. Additionally, it reflects the author's intention to align herself with the young narrator, Rusiko, whose character contains clear autobiographical elements related to Zaira Arsenishvili. While in the cinematic version, Eva's life serves as a symbolic and allegorical representation of Georgia's past, the inclusion of Zaira Arsenishvili's autobiography in the literary version intensifies the depiction of the pain experienced by her repressed family, further emphasizing the regime's guilt. With the freedom gained in art, the traumatic episodes of the writer's life, woven into the fictional world of the medium, are recognized by the reader during the reception process, lending the narrative a sense of legitimacy in its reconstruction of the past.

### Content Narratemes in the Film and Novel

